ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 24 იანვარი 2004 №14 (2033) | ფასი 50 თეთრი

## შერიფს დინამოსი მუშტივით მოხვდა

### დარასელიების ნიჭი: გადამწყვეტი გოლი



ხვალ, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, მთელ საქართველოში ამაყად იფრიალებს ახალი სახელმწიფო დროშა.

ხვალვე, იმედი გვაქვს, რომ ხუთჯვრიანი დროშა რუსთა დედაქალაქშიც ამაყად აღიმართება — გუშინ თბილისის „დინამომ" თანამეგობრობის თასის ნახევარფინალში დნესტრისპირელ „შერიფს" მოუგო და დროშის აფრიალებამდე ერთი ნაბიჯილა დარჩა.

ქართული რევოლუციის ჟამს მალიმალ ლაპარაკობდნენ სიმბოლოებსა და უცნაურ დამთხვევებზე. თუ ხვალ „დინამომ" თასი მოიგო, ფეხბურთის გულშემატკივრები იმასაც ვიტყვით, რომ ახალი ქართული სახელმწიფოს შენების დაწყების დღე ქართული ფეხბურთის აღზევების დღედაც იქცაო.

რატომაც არა?!

ბოლო დროს ქართველებს მივიწყებული გრძნობა დაგვიბრუნდა — იმედი.

გამარჯვების წყურვილიც ისეთი გვაქვს, როგორიც დიდი ხანია, აღარ გვქონია.



ივო შუშაკი: თუ ფედერაციისა და დინამოს უფროსები შეთანხმდებიან, ნაკრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს

## უელსი რუსეთს ევროპას ედავება

### ერთი წლით მოკვეთილმა ტიტოვმა რუსებს შეიძლება თავიც მოჭრას

ცდა იქნებ ყოველთვის არ იყოს ბედის მონახევრე, მაგრამ შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებენ და მოედანზე რუსთა მიერ დამარცხებული უელსელები ევრო 2004-ზე მოსახვედრ ბილიკებს სასამართლოს გავლით ეძებენ. კარგად გეხსომებათ, რუსეთმა ორი მატჩის ჯამში 1:0 დაამარცხა უელსი და პორტუგალიისკენ დაძრულ მატარებელს ბოლო მომენტში შეახტა. მაგრამ ჩვენს ჩრდილო მეზობლებს ერთი იალლიში მოუვიდათ — ბრიტანელებთან პირველი მატჩის შემდეგ დოპინგზე ჩავარდნილი იგორ ტიტოვი კარდიფშიც ათამაშეს და უელსელთა ხელჩასაჭიდიც ესაა. გუშინ უეფამ ტიტოვს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდა. უელსელებსაც ხელში ხავსი მოხვდათ და ეჭიდებიან კიდეც. მათი მოთხოვნით, სამართალმა პური უნდა ჭამოს და კანონურჩი რუსეთი მოიკვეთოს ევროჩემპიონატიდან.





ტიტოვის დისკვალიფიკაციამ მარკ ჰიუზის უელსს მცირე, მაგრამ მაინც შანსი გაუჩინა

*კარგი სიტყვაა მეორე ნახევარი. მით უმეტეს, თუ ის მართლაც თანამოაზრეა, საქმეშიც გვერდით გიდგას და ისიც შეუძლია, შენს ნაცვლად კომპეტენტურად ილაპარაკოს*

# მიშელი მეფესაც უნდა

## მეც და ჩემს მეუღლესაც გვსურს საქართველოში წამოსვლა, მაგრამ...



*საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატს, ფრანგ ანრი მიშელს სწორედაც რომ მეორე ნახევარი ჰყავს ლიბანელი მეუღლის, ელეგანტური რუბა ქამალჰალის სახით. ეს წყვილი უკვე თბილისშიც ნამყოფია, ნაახალწლევს, 2 იანვარს გვესტუმრნენ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არყოფნაში ვიცე-პრეზიდენტ ლერი სულაბერიძესთან და რევაზ არველაძესთან გამართეს მოლაპარაკება. უფრო სწორად, საქმეზე, რა თქმა უნდა, მიშელი და მისი თურქი აგენტი საუბრობდნენ, მაგრამ მეორე ნახევარი, აბა, რის ნახევარია, ყველა დეტალი თუ არა, ნახევარზე მეტი მაინც არ იცის.*

*მოკლედ, თბილისში მიშელებმა, ლამის იყო, მავიდას ხელი დაჰკრეს, საქართველოში მეორედაც ჩამოვალთ, ანრი კი თქვენი ნაკრების მწვრთნელი იქნებაო. ეს მეორე ვიზიტი, სადღაც 15-20 იანვრისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ისინი ჯერაც არ გამოჩენილან. ამასობაში კი ჩვენთან ახალი ამბავია, მიშელმა „რაჯა კასაბლანკასთან“ კონტრაქტი გააგრძელა და სამუშაოდ მაროკოში რჩებაო.*

— სასიამოვნოა, რომ საქართველოდან დაგვიკავშირდით. ჩვენ თქვენი ქვეყნიდან კმაყოფილები დავბრუნდით და მასპინძლობისთვის მადლობლები ვართ — მისალმების შემდეგ ასეთი იყო ანრი მიშელის მეორე ნახევრის პასუხი.

— თუ შეიძლება, რომ თქვენს მეუღლეს ვესაუბროთ?

— სამწუხაროდ, ჩემი ქმარი კასაბლანკიდან ამ დილით სხვა ქალაქში გაემგზავრა პირად საქმეებზე და კვირადღემდე არ იქნება. რა გაინტერესებდათ, რა გადავცე? ანრის საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე შემიძლია მე გიპასუხოთ.

— სასიამოვნოა. თანაც, როგორც ვიცით, მეუღლისთვის თქვენი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. რას გვეტყვით, ჩამოხვალთ საქართველოში, ჩაიბარებს ანრი მიშელი საქართველოს ნაკრებს?

— როგორც გითხარით, ჩვენ თბილისიდან კმაყოფილები დავბრუნდით, მეუღლე ნასიამოვნები დარჩა და მზადაა საქართველოს ნაკრებს უხელმძღვანელოს.

— მაშ, რა გიშლით ხელს, აქამდე რატომ არ ჩამოხვედით?

— სიამოვნებით ჩამოვალთ, მაგრამ რა პრობლემაცაა, ეს თქვენ ჩვენზე უკეთ იცით. მეუღლეს სურს, რომ ამ სიტუაციაში კორექტული იყოს.

— რას გულისხმობთ?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პატიმრობაშია. ჩვენ ეს გვაფერხებს.

— სხვა არაფერი?

— როცა ფედერაციის ხელმძღვანელი ციხეშია, ფინანსური საკითხები მეორეხარისხოვანია.

— მართალია, რომ ანრი მიშელმა კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა?

— არ არის მართალი. ჩემს მეუღლეს „რაჯასთან“ კონტრაქტი 1 ივნისამდე აქვს. მისი გადასაწყვეტია, გაწყვეტს თუ გააგრძელებს დღევანდელ კონტრაქტს. თუმც ისიცაა, რომ მიშელი „რაჯაში“ წარმატებით მუშაობს. როცა აქ ჩამოვედით, გუნდი მე-13 ადგილზე იყო, დღეს კი ჩემპიონატის ლიდერია. ასეთი შედეგის შემხედვარე მაროკოს მეფეს კი მწვრთნელის გაშვება არ სურს.

— საქმე ისეა, რომ მეფის გადასაწყვეტია მიშელის წასვლა-დარჩენის საკითხი?

— არა, უბრალოდ, მეფეს სურს, რომ ჩემი მეუღლე „რაჯაში“ დარჩეს.

— თქვენი აზრი როგორია?

— მეც და მეუღლესაც გვსურს საქართველოში წამოსვლა, მაგრამ...

— პრეზიდენტი?

— დიახ, მთავარი პრობლემა ეს არის. თორემ ანრი მიშელისთვის საქართველოს ნაკრებში მუშაობა დიდი გამოწვევაა. მას სურს ქართველ ფეხბურთელებთან მუშაობა, მით უმეტეს, რომ წამყვან ფეხბურთელთა შესაძლებლობები მან კარგად იცის.

— როდის გელოდოთ საქართველოში?

— უხერხულია ამ კითხვაზე პასუხი. გვსურს, რომ ყველაფერი კორექტულად იყოს.

**ქოჩბა ინასარიძე**

| | |
|---|---|
| **ჰოლანდია** | **თურქეთი** |
| I დივიზიონი. XVII ტური | სუპერლიგა. XVIII ტური |
| ალკმაარი 0:1 დენ ჰააგი | დიარბაქირი 0:0 გალათასარაი |
| **საფრანგეთი** | **იტალია** |
| თასის 1/16 ფინალი | სერია B. XXIV ტური |
| *ბაიონი* 1:0დ.დ.(0:0) ბორდო | ნაპოლი 2:2 ვერონა |
| **ინგლისი** | **პორტუგალია** |
| III დივიზიონი. 28-ე ტური | სუპერლიგა. XIX ტური |
| დონკასტერი 0:2 ლინკოლნი | მარიტიმუ 1:1 ალვერკა |

# ნუ იეჭვიანებთ დინამოზე

## თუ ფედერაციისა და დინამოს უფროსები შეთანხმდებიან, ნაკრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს

*შესაძლოა, 25 იანვარს ივო შუშაკი თბილისს ესენგეს თასის მფლობელის რანგში დაუბრუნდეს. მისი გაწვრთნილი „დინამო“ ახლოსაა მიზანთან.*

*ვფიქრობთ, ფინალის წინ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რას ფიქრობს გონიერი, იმპულსური და პრინციპული მწვრთნელი „დინამოს“ მოსკოვურ თამაშზე, რა გეგმით გააგრძელებს კლუბში მუშაობას და როგორი იქნება მისი პასუხი ნაკრებში დაბრუნების შეთავაზებაზე...*



— დამეთანხმებით, ჩემს გუნდს არცერთ თამაშში გამარჯვება, მით უფრო მეტოქეზე უპირატესობა საეჭვო არ გაუხდია. ამ წარმატებული გამოსვლის მიუხედავად, მაინც ვთვლი, რომ ჩვენ მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდის პირველ ნაწილს ვამთავრებო. ამიტომაც მიმაჩნია, რომ აქ „დინამოს“ თავისი თამაშის პიკისთვის არ მიუღწევია. ფაქტია, რომ ჩვენმა გუნდმა სიამოვნება მიანიჭა მის ქომაგებს. ტურნირმა კიდევ ერთხელ დამანახა, სწორ გზას კი ვადგავართ, მაგრამ სამუშაო მაინც ბევრია.

— თქვენს მეტოქეზე, რიგის „სკონტოზე“ გარკვეული წარმოდგენა უკვე გექნებათ...

— საკმაოდ ძლიერი, კარგად დაკომპლექტებული გუნდია და მასთან იოლი გასეირნება გამორიცხულია. ეს ჯგუფურ შეხვედრაშიც კარგად გამოჩნდა, როდესაც „სკონტოსთან“ საბრძოლო 2:2-ით დავზავდით. ლატვიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა და იქ „სკონტოს“ 5-6 ფეხბურთელი ითამაშებს, მგონი, ამით ბევრია ნათქვამი.

— სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავათ, გაამართლა ესენგეს თასმა?

— უდავოდ. მე ჯერ თბილისში განვაცხადე, რომ ასეთი ტურნირები „დინამოს“ ჰაერივით სჭირდება და მან გაამართლა იმდენად, რამდენადაც ჩემმა ფეხბურთელებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. ვითამაშეთ სხვადასხვ ხელწერის გუნდებთან. „შერიფთან“ მატჩი კი ყველაზე დაძაბული გამოდგა, ვთვლი, რომ ამ მატჩში თავის კარიერაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა გოგბერიშვილმა.

— რომელ დინამოელს გამოარჩევდით, ვინ მოუმატა ტურნირის მსვლელობისას?

— არ მინდა, რომელიმე ჩემი ფეხბურთელი გამოვყო. ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ მთლიანად გუნდის და თითქმის ყველა დინამოელის პროგრესი ვერ შეამჩნიოს. ქართულ ფეხბურთს ახლა ერთი რამ სჭირდება — იდეალური გაზონი, რათა ტექნიკა და სისწრაფე ერთმანეთს შეერწყას. მართალია, აქ იდეალური გაზონი არაა, მაგრამ ის იდეალურად სწორია, ოღრო-ჩოღროების გარეშე. ჩვენთვის კი ესეც საკმარისი აღმოჩნდა საჭირო თამაშის საპოვნელად. ახლა წარმოიდგინეთ, საქართველოში 5-6 იდეალური მოედანი რომ არსებობდეს, მაშინ რამდენად დიდი იქნება ფეხბურთელების წინსვლა.

— ამ ტურნირმა ალბათ სასელექციო სიახლეების აუცილებლობაშიც დაგარწმუნათ...

— ამისულაშვილის და ხიზანეიშვილის წასვლამ, წერეთლის ტრავმამ ჩვენი დაცვის ხაზი საგრძნობლად შეასუსტა. მოსკოვში ვერც ახალგაზრდა კაშია გამოვიყენეთ. ამ პრობლემამ ჩვენ რეალური ამოცანის წინაშე დაგვაყენა — 2-3 მაღალი დონის მცველის შეძენა ნამდვილად არ გვაწყენდა.

— ბატონო ივო, მოსკოვში „დინამოს“ წარმატებული თამაშის შემდეგ კვლავ აქტუალური გახდა ნაკრებში თქვენი დაბრუნების თემა...

— მე არა მარტო კონტრაქტით, არამედ მთელი ჩემი გონებით, არსით „დინამოს“ ვეკუთვნი. ამიტომაც, თუ ფედერაციიდან ასეთი წინადადება იქნება, მე პირველ რიგში კლუბის პრეზიდენტს, ბატონ ბადრი პატარკაციშვილს უნდა დაველაპარაკო. თუ ის საჭიროდ და შესაძლებლად ჩათვლის ჩემ ორ პოსტზე მუშაობას, მზად ვიქნები, ასეც ვემსახურო ქართულ ფეხბურთს.

— ძველი შეცდომების თავიდან ასაცილებლად ფედერაციას თქვენს პირობებს არ წაუყენებთ?

— ფედერაციასთან მოლაპარაკებებს მე არც ვაწარმოებ. მთავარია, ფედერაციისა და ჩემი კლუბის უფროსობა შეთანხმდნენ. ასეთ შემთხვევაში მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

**დავით ერაძე**

# მწვრთნელმა მწვრთნელი დაინახა

## ანჩაბაძე კი ლანდს ნახავს

*25 იანვარს, საღამოს რვა საათზე სნგ-ს თასის ბოლო, ფინალური მატჩია. ერთმანეთს საქართველოს თერთმეტგზის და ლატვიის ცამეტგზის ჩემპიონები დაუპირისპირდებიან. „დინამოსა“ და „სკონტოს“ პირველი, ჯგუფური შეხვედრა დაძაბული და უხვგოლიანი აღმოჩნდა — 2:2. ტურნირიც სწორედ ამ ორი გუნდის ფინალით სრულდება. „სკონტომ“ ლევან კორღალიძის ერთადერთი გოლით „კაუნასი“ დაამარცხა და ფინალისტი გახდა.*

„სკონტოს“ გამოცდილი და ლატვიის წლის საუკეთესო მწვრთნელი ალექსანდრ სტარკოვსი უდგას სათავეში. კაცი, რომელმაც ლატვიის ნაკრები ევრო-2004-ზე გაიყვანა. მის გუნდში, აგერ, უკვე მეშვიდე წელია, თამაშობენ ქართველი ფეხბურთელები, იცვლება მხოლოდ მათი რაოდენობა და გვარები. სტარკოვსი თავს ქართული ფეხბურთის კარგ მცოდნედაც მიიჩნევს, მაგრამ ახალი „დინამოს“ ნახვით გაკვირვებას ვერ მალავს...

**— გილოცავთ ფინალში გასვლას, თქვენი გუნდი ზედიზედ მეორედ ხდება მთავარი მატჩის მონაწილე- თქვენ ქართულ ფეხბურთს საკმაოდ კარგად იცნობთ, წლეულს რა სიახლეები შენიშნეთ „დინამოს“ თამაშში?**

— ტექნიკის და იმპროვიზაციის დონე ისევ მაღალია. სიახლე ისაა, რომ გუნდს ძლიერი და მცოდნე მწვრთნელის ხელი ეტყობა. თქვენი გუნდი საოცრად მობილიზებულია და კონცენტრაცია მთელი 90 წუთის განმავლობაში არ ეკარგება, ეს კი მუდამ იყო ქართული ფეხბურთის აქილევსის ქუსლი.

**— რომელიმე მოთამაშეს თუ გამოარჩევდით „დინამოდან“?**

— გუნდს რამდენიმე მაღალი დონის მოთამაშე ჰყავს. თუმცა პირადად მე მეჩვენება, რომ კლუბის კომბინაციური თამაში დიდადაა დამოკიდებული ანჩაბაძეზე. მისი გამოცდილება მთავარ როლს თამაშობს. მას ვინმეს ლანდივით ავადევნებ.

**— თქვენს კლუბში ჩვენი თანამემამულეები არცთუ ურიგოდ თამაშობენ, ხომ არ აპირებთ მათი რაოდენობის გაზრდას?**

— ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია. რაც შეეხება კორღალიძეს, ის ჩვენი გუნდის ლიდერია და სი-



მბოლურია, რომ ფინალში სწორედ მისი გოლით გავედით. მენთეშაშვილი არცთუ დიდი ხნის წინათ დავიბრუნეთ და ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას.

**— ბოლოს ის გვითხარით, როგორ ფინალს ელით?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ უმძიმესი მატჩი იქნება. ეს ჩვენი გუნდების ჯგუფურმა მატჩმაც ცხადყო. ალბათ ფინალში ორივე გუნდი შეეცდება შემონახული ფარული იარაღის გამოყენებას. ვიმედოვნებ, ეს მატჩი ამ ტურნირის ღირსეული დასასრული იქნება.

**დავით ერაძე**

*თანამეგობრობის ჩემპიონთა თასს ახალი, მეოთხე მფლობელი ეყოლება. ამის თქმის უფლება დინამოელებმა მოგვცეს: საქართველოს 11-გზის ჩემპიონმა მართლაც დაძაბულ მატჩში დაამარცხა ტურნირის ბოლო გამარჯვებული, მოლდოვური „შერიფი".*

*ნახევარფინალურ მატჩს 3 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. ნახევარი ან შეიძლება მეტიც ქართველი ან ქართული ფეხბურთის ქომაგი იყო. ტრიბუნაზე საქართველოს ახალი, ხუთჯვრიანი დროშაც ფრიალებდა*

# კაცურად და დაშხოშიანად

## დინამომ თამაში და შერიფი ამოატრიალა

... დარასელიას წამოწყებული კომბინაცია ალექსიძემ გააგრძელა, საჯარიმოში მელქაძე მონახა და... თბილისელი ფორვარდი ბურთს ასცდა. მე-8 წუთზე ბრაზილიელმა ბრაუნმა თავურით შეამოწმა გვარამაძის სიფხიზლე. მომდევნო შეტევისას კი „შერიფმა" იხეირა. კუთხურის ჩაწოდების მერე დინამოელები ხელოვნური თამაშგარეს შექმნას შეეცადნენ, მაგრამ შეცდნენ და ბარიშმა ანგარიში გახსნა. გაშვებულმა გოლმა თბილისელები ოდნავ დააბნია და მათ თამაშის ასაწყობად 13 წუთი დასჭირდათ. 26-ე წუთზე ალექსიძემ ანჩაბაძე გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე. გიორგი ერთი შეხებით შეეცადა გოლის გატანას, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. ხუთ წუთში დარასელია შორიდან ურტყამს, მაგრამ მეკარე ხუცანი ყოჩაღობს. ამ წუთებში აშკარაა, რომ მოლდოველები ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობენ და ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გადაიტანეს. 31-ე წუთზე უკვე ბურდული ურტყამს შორიდან, მეკარის მოგერიებულს კი ველარავინ უმატებს. მომდევნო შეტევისას საჯარიმოში რატი ალექსიძე ვარდება, პენალტის დანიშვნა შეიძლება, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმს. დინამოელთა შეტევები შტურმის სახეს იღებს. ზედიზედ სამ სახიფათოდ ჩაწოდებულ კუთხურს ლოგიკური დასასრული მოსდევს. საჯარიმოს გარეთ გადმოვარდნილ ბურთს გოგობერიშვილი აგებებს ფეხს — 1:1. როგორც იქნა, ბოლო წუთზე გოლი ქართველებმაც გაიტანეს.

მეორე ტაიმის 35 წუთი შეგვიძლია, ცალკარად მოვნათლოთ. თბილისელები ბურთს და მასთან ერთად სათამაშო უპირატესობასაც მყარად დაეუფლნენ. 47-ე წუთზე ანჩაბაძის ჯარიმა მცირედით ასცდა მიზანს. შუშაკი შეცვლას მიმართავს და დალლილ მელქაძეს ბობოხიძეს უნაცვლებს. ახალი სისხლის პრინციპმა გაამართლა. ბობოხიძის ბურთთან პირველივე შეხება სახიფათო მომენტით დამთავრდა. მეკარის ბაქანში მან მცველთან ჭიდილში მოახერხა დარტყმა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. „შერიფი" მოედნის მეორე ნახევარს ხეირიანად არც გადასცდენია. ამასობაში ალექსიძის შორეული საჯარიმო აფრთხობს მეტოქეს.

72-ე წუთზე კი ვიტალი დარასელიამ ცენტრიდან წალებულ ბურთს 25-27 მეტრიდან ლონივრად დაჰკრა. ბურთი ხუცანის ცხვირწინ დაეცა და ბადეში ალმოჩნდა — 2:1. ეს რალაც ახალი იყო. დინამოელებმა ბოლო წუთზე გატანილი გოლი არ იკმარეს და 0:1-ზე თამაშის შემობრუნებაც მოახერხეს. კუჩუკის მუქარას ასრულება არ ეწერა, მისი „შერიფი" „დინამოსთან" პირწმინდად დამარცხდა როგორც ფეხბურთელთა ინდივიდუალურ ოსტატობაში (რაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო), ისე ბრძოლისუნარიანობაში. „შერიფმა" მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა და ისიც უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

„დინამო" ფინალშია, 1995 წლის შემდეგ პირველად!

## სნგ-ს თასი. 1/2 ფინალი

**დინამო (საქართველო) 2:1 შერიფი (მოლდოვა)**

0:1 ბარიშევი (13), 1:1 გოგობერიშვილი (45), 2:1 დარასელია (72)

**დინამო:** გვარამაძე, ახალაია, შაშიაშვილი, კანდელაკი, კვირკველია, ბურდული, გოგობერიშვილი, დარასელია, ანჩაბაძე, ალექსიძე, მელქაძე (ბობოხიძე 56)

მწვრთნელი: ივო შუშაკი

**შერიფი:** ხუცანი, გუმენიუკი, ლაკუსტა (იაროსლავსკი 74), ტესტიმიცანუ (დუშ სანტუში 73), თარხნიშვილი, პრიგანიუკი, ს. ივანოვი (ა. ბლანკო 30), ბორეცი (ადენისი 58), ლეანდრო ფარიასი, ბარიშევი, რ. ბრაუნი (ს. კუზნეცოვი 46)

მწვრთნელი: ლეონიდ კუჩუკი

მსაჯი: რომანს ლაიუკსი (ლატვია)

3 000 მაყურებელი

**კაუნასი (ლიტვა) 0:1 სკონტო (ლატვია)**

0:1 კორლალიძე (80)

**სკონტო:** პიედელსი, ისაკოვსი, ზემლინსკისი, ლობანიოვსი, ლოგინსი, ლაგიევკა (სემიონოვსი 73), ბუიტკუსი, კორლალიძე, მენთეშაშვილი, კალმინში, მიხოლაპსი (ბლანკსი 60)

მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვსი

მსაჯი: კარენ ნალბანდიანი (სომხეთი)

**ფინალი. 25 იანვარი 20.00**

**დინამო — სკონტო**



გუშინ „დინამომ" „შერიფი" თანამეგობრობიდან გაისტუმრა

## მესამე ტაიმი

**როგორც კი** „შერიფის" ფეხბურთელებმა წაგების საფრთხე იგრძნეს, მეტოქის წყობილებიდან გამოსაყვანად ყველა ხერხს მიმართეს. ნაცად ფეხში მირტყმებს ბილწსიტყვაობა მიაყოლეს. თამაში ორჯერ შეწყდა. თბილისელებმა მეტოქეზე გაიწიეს და აგრძნობინეს, თუ ვინ იყო სიტუაციის ბატონ-პატრონი. თუმცა „შერიფის" ბრაზილიურ-პანამური ლეგიონი არ ცხრებოდა. გაისმა მსაჯის სასტვენი და მეტოქენი გასახდელამდე გაწევ-გამოწევით მივიდნენ. ბრაზილიელები არ ისვენებდნენ, ეტყობა, თბილისელები რიოს შტატის ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელები ეგონათ. გასახდელში კი ნამდვილი ხელჩართული ორთაბრძოლა გაჩაღდა, თანაც ისეთი, ინგლის-თურქეთს შორის მომხდარი ეგებ ეროტიკულ ფილმადაც მოგეჩვენებოდათ. ქართველებმა თავი არც მესამე ტაიმში შეირცხვინეს და... ნაცემი ბრაზილიელები თანაგუნდელების დახმარებით ტოვებდნენ ცსკა-ს მანეჟს. ყველაზე ზორბა და ახირებული დუშ სანტუში კი რამდენიმე დღე ეგებ მშობელმა დედამაც ვერ იცნოს. მოჩხუბართა გაშველება მანეჟის დაცვამლა მოახერხა. არადა, დუშ სანტუშს ალექსიძის გაწვდილი ხელისთვის ხელი რომ შეეგებებინა და უადგილო პოხონდრიებით უფრო არ დაეძაბა სიტუაცია, ეგებ ფერდებიც მთელი შერჩენოდა.

*ქართველი ფეხბურთელები კი უკვე ფინალისთვის ემზადებიან. მათ განწყობაზე შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეების მონათხრობი მეტყველებს*





**რატი ალექსიძე:** სიტყვებს ვერ ვპოულობთ, ისეთი გახარებულები ვართ. ერთად დავდექით და ჩვენი ბოლომდე გავიტანეთ. ასე ბოლომდე გავიტანთ ფინალაშიც.

— პირველი გოლის ფაქტორი მუდამ არსებობდა ქართულ ფეხბურთში...

— გოლი რომ გავუშვით, დაახლოებით ხუთწუთიანი დაბნეულობა დაგვეტყო, მაგრამ აზრზე მალევე მოვედით. ჩვენი პირველი გოლის შემდეგ გასახდელში რომ შევედით და ბიჭებმა ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ, მივხვდი — „შერიფი" განწირული იყო, თვალებში ყველას ცეცხლი ენთო. თანაც აქ მყოფი ქართველები ისე გვქომაგობდნენ, სხვა გზა არ გვქონდა, თავსაც გადავდებდით.

— „შერიფის" ფეხბურთელები არც პროვოკაციებს ერიდებოდნენ...

— აბა, რას იზამდნენ?! ჩვენ ყოველგვარი პრემიის გარეშე ვთამაშობთ, იმათ კი მარტო ჩვენთან მოგებისთვის კაცზე 8 000-დოლარიანი პრემია ჰქონდათ დაწესებული. ფინალის მოგებაზე კი 10 000-დოლარიანი. თანაც, ალბათ თავბედს იწყევლიან, რომ პროვოკაციაზე წამოგვაგეს.

— იჩხუბეთ?

— არც ამაში შეგვირცხვენია თავი. თამაში ხომ მოვუგეთ, ჩხუბში კი საერთოდ...

**ვიტალი დარასელია:** თამაშზე საუბარი მიჭირს, იმდენად მძაფრია ემოციები. ჩვენ კაცურად დავიწყეთ და ასევე გვინდოდა მატჩის დამთავრება, მაგრამ ვინ გვაცალა?! მათმა არასპორტულმა საქციელმა და უხეშობამ მთლად გადაგვრია. ჩვენი წაგების შანსი არ იყო, თავს შევაკლავდით, თუმცა რაც ეკუთვნოდათ, მოედანზეც მიიღეს და მის გარეთაც.

— წინ ფინალია...

— არის ასეთი გამონათქვამი — უკან დასახევი გზა მოჭრილია. ზუსტად ამ მდგომარეობაში ვართ ჩვენც. უბრალოდ, უფლება არ გვაქვს, ჩვენი აქაური გულშემატკივრები დავალალატოთ. ფინალშიც იგივე, ერთ მუშტად შეკრულ და ჯიგრიან „დინამოს" ნახავთ.

— საუკეთესო ფორმაში ხარ და ამ ტურნირზეც საუცხოოდ თამაშობ. სელექციონერებისგან არც ახლაა რამე რეალური?

— არა, რომ იყოს, ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, ნაფიქრს არ დაუმალავდი. წინადადებები კი იცოცხლე, რამდენიც გინდა...

**დავით ერაძე**

# გამშველებელს ბევრი მოხვდა

*„დინამო" – „შერიფის" გუშინდელი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ყველაზე უხასიათოდ ტირასპოლელთა ქართველი ლეგიონერი ვაჟა თარხნიშვილი იყო. კაპიტანმა თამაში თამამად ხომ წააგო და მის თანაგუნდელებს დინამოელებთან ჩხუბი შეემთხვათ. ყველაზე არასახარბიელო სიტუაციაში სწორედ თარხნიშვილი აღმოჩნდა – აქეთ ქართველები, იქით თანაგუნდელები...*



ვაჟა თარხნიშვილი

— იმედგაცრუებული ვარ, არ მეგონა, ეს დღე ასე თუ დამთავრდებოდა.

— კარგი პროგნოზისტი ყოფილხარ, თქვი, „დინამო" მოგვიგებსო და ასეც მოხდა...

— „დინამო" რეალურად „შერიფზე" ძლიერია და ალალად გაიმარჯვა, თუმც ფაქტია, ჩვენ თამაში არ წაგვივიდა, მეორე ტაიმში ხეირიანად არც დაგვირტყამს ბურთი გვარამაძის კარში.

— მატჩის დროს ხშირი იყო კინკლაობა, რასაც ბოლოს გუნდური ჩხუბიც მოჰყვა...

— მომხდარს ძალიან განვიცდი, ორცეცხლშუა ვიყავი. ვცდილობდი, დამეშოშმინებინა ორივე მხარე, ჩემს გუნდში დიდ პატივს მცემენ, დინამოელებმაც გამიგეს, ზოგიერთ მათგანთან ბურთიც გამიგორებია და პურიც გამიტეხავს, მაგრამ გასახდელთან ინციდენტი მაინც მოხდა. მე კაპიტანი ვარ, წესისამებრ, მსაჯებს დავემშვიდობე და გასახდელში სხვებზე გვიან შევედი, იქ კი დიდი ჩხუბი დამხვდა. ნათქვამია, გამშველებელს ბევრი მოხვდებაო — დაახლოებით ასე იყო ჩემი საქმე, სანამ გაარკვევდნენ, ვინ ჩაუდგათ შუაში, ერთიორ მუჯლუგუნს მეც ვერ ავცდი, თუმც მოჩხუბართა დაშოშმინება მალე მოვახერხე და კაცურად დავემშვიდობე დინამოელებს. ბუნებრივია, მათ ჩემს მიმართ წყენა გულშიც არ გაუვლიათ, მაგრამ რაც მოხდა, ძალიან ცუდი იყო.

**პაატა ძვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომან ახალკაცი

*რაც დრო გადის, მოსკოვის „ლოკომოტივი" სულ უფრო საინტერესო ხდება ქართველი გულშემატკივრისთვის. წლების წინ ამ გუნდს ზაზა ჯანაშიათი ედგა სული, მერე გიორგი დემეტრაძე გამოჩნდა. იური სიომინის ხელში იმხანად ვლადიმერ კაკაშვილმაც გაიარა, თუმც მას ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია და რკინიგზულ კლუბსაც უსახელოდ დაშორდა.*

*ამის შემდეგ „ლოკომოტივმა" სიჩქარეს უფრო უმატა და თანდათან ევროპაშიც გაითქვა სახელი. მცირე „არაქართული ერა" კი შარშან დასრულდა – ქუთაისის „ტორპედოდან" „ლოკომოტივში" ხმაურიანი ქართული ტრანსფერი გაიჩარხა – იმედისმომცემი მალხაზ ასათიანი სიომინის შეგირდი გახდა. რამდენიმე თვეში მალხაზს მიხეილ აშვეთია მიჰყვა, რომელიც დღევანდელი „ლოკომოტივის" წარმატებების ერთ-ერთი „მეწილეა". და ახლახან მეორე ქართულ-მოსკოვური სამეულიც შეიკრა – „ტორპედომ" „ლოკომოტივს" რომან ახალკაცი დაუთმო, რომელსაც ერთი კვირის წინ სიომინის გუნდში დებიუტიც ჰქონდა...*



მალხაზ ასათიანი

# დაღლილი ქართული საუბრები ფრანგულ ოთახში

## არ გეშინია? არა! აშვეთიას კონკურენტებს უმრავლებენ

ფრანგულ ფონ-რამეში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" სამიოდ დღის წინ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და ისევ 2:2-ს დასჯერდა. პირველი მატჩის მსგავსად, რკინიგზელთა მეტოქე ამჯერადაც სამოყვარულო გუნდი იყო — „ოლიმპიკ აგდა". „ლოკომოტივს" მეგოლეებიც იგივენი ჰყავდა — მალხაზ ასათიანი და უინსტონ პარკსი. კოსტარიკელმა თავდამსხმელმა ანგარიში მე-20 წუთზე გახსნა, თუმც „ოლიმპიკ აგდამ" პირველივე ტაიმში შეძლო გათანაბრება-დაწინაურება. სირცხვილისგან რუსები შეცვლაზე შესულმა ასათიანმა იხსნა, რომელმაც 57-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. ამ გოლიდან რვა წუთში კი მოედანზე წლეულს პირველად გამოჩნდა რკინიგზელთა მთავარი ბომბარდირი მიხეილ აშვეთია — ის მაღალი სიცხის გამო ვერ დაეხმარა გუნდს პირველ მატჩში. მოსკოველთა მესამე ქართველი რომან ახალკაცი სათადარიგო იყო.

*ჩვენებურებს ფრანგულ ფონ-რამეში შევეხმიანეთ. ვარჯიშით გათანგულებს ბევრი ლაპარაკის თავი არც ჰქონდათ, თუმც ინტერვიუზე მაინც თავაზიანად დაგვთანხმდნენ. პირველად* ***რომან ახალკაცს*** *გავესაუბრეთ:*

**— რომან, შენი „ლოკომოტივში" გადასვლა ძალიან მოულოდნელი იყო. როგორ შედგა ასე სწრაფი და უცაბედი ტრანსფერი?**

— მართალია, „ლოკომოტივში" გადასვლაზე არც ვფიქრობდი. უბრალოდ, არ მეგონა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ გამიმართლა და ძალიან გახარებული ვარ. დიდ გუნდში მოვხვდი.

**— არადა, „ურალანში" მიდიოდი...**

— ჰო, „ურალანში" თითქმის ყველაფერი მოგვარებული იყო. ქუთაისიდან ისე წამოვედი, რომ მეგონა, ელისტაში უნდა ჩავსულიყავი, მაგრამ მოსკოვში „ტორპედოს" პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე დამხვდა და მითხრა, შენთვის უკეთესი ვარიანტი მაქვსო — ასე გავხდი ლოკომოტიველი.

**— კონტრაქტი ყოველგვარი გასინჯვის გარეშე გააფორმე, რაც ბოლოდროინდელ ქართულ ფეხბურთში საკმაოდ იშვიათია. ეტყობა, „ლოკომოტივი" კარგად გიცნობდა...**

— ადრე კი იყო ჩემ აქ ჩამოსვლაზე ლაპარაკი, მაგრამ მერე ნაღდად არაფერი გამიგია. თან ხომ გითხარი, „ურალანში" მივდიოდი. ისე კი, ჩემი მონაცემები მართლა კარგად იცოდნენ.

**— მოსკოვში კლუბის ბაზაზე იცხოვრებ თუ ბინას გაძლევენ?**

— კონტრაქტი რომ გავაფორმე, საფრანგეთში შეკრებაზე მალევე წამოვედით, ამიტომ ბინა ჯერ არ მოუციათ, თუმცა კონტრაქტში ასეთი საკითხები შეთანხმებულია.

**— ადაპტაცია არ გაგიჭირდებოდა...**

— ჰო, არანაირი პრობლემა, „ასათა" და მიხო ყველანაირად მეხმარებიან. გუნდშიც საკმაოდ ნორმალურად მიმიღეს.

**— ვარჯიშებსაც იოლად შეეგუე?**

— თავიდან კი გამიჭირდა, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ.

**— შენს ლოკომოტივურ დებიუტზე რას იტყვი?**

— დავგლიჯეო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშე. ჯერ მაინც ახალწვეულად ვითვლები და კიდევ უნდა მოვუმატო. თანდათან ყველაფერს ავითვისებ.

**— „ოლიმპიკ აგდასთან" რატომ არ ითამაშე, ტრავმა ხომ არ მიგილია?**

— არა, სათადარიგო ვიყავი.

**— „ლოკომოტივში" შენს გადასვლას ერთი მოულოდნელობაც ახლდა: ყველას ეგონა, სარეზერვო გუნდში ითამაშებდი, მაგრამ სიომინმა ძირითად გუნდთან ერთად ფრანგულ შეკრებაზე წაგიყვანა...**

— საწინააღმდეგო რა მექნებოდა?! მგონი, არაფერი შეიცვლება და ისევ ძირითადში დავრჩები, თუმც პრაქტიკის მიზნით სარეზერვო გუნდში თამაშზეც არ ვიტყვი უარს. ამ სეზონში მომაგრება დამჭირდება.

*რომან ახალკაცს ახალ გუნდში წარმატებები ვუსურვეთ და საუბარი „ლოკომოტივის" მთავარმეგოლე* ***მიხეილ აშვეთიასთან*** *განვაგრძეთ:*

**— როგორ მიდის შენი საქმეები...**

— კარგად. ვვარჯიშობ და ვარ.

**— ვარჯიშით კი ვარჯიშობ, მაგრამ „პერპინიანთან" პირველი ამხანაგური მატჩი ტრავმის გამო გამოტოვეო. სად დაშავდი?**

— არანაირი ტრავმა არ მქონია. გაციებული ვიყავი. რა საჭიროა ტრავმების მოგონება?!

**— რუსულ წყაროებში ასე ეწერა.**

— ვიცი... ახლა ჩემი დათარსვა იქნება?!

**— ახლა როგორ გრძნობ თავს?**

— უკვე ჯანზე ვარ. 16 იანვარს განვაახლე ვარჯიში და „ოლიმპიკ აგდასთან" რამდენიმე წუთიც ვითამაშე.

**— „ლოკომოტივის" სატრანსფერო სიახლეებზე ერთი ამბავია ატეხილი. აქეთ დმიტრი სიჩოვიო, იქით ბრაზილიელი თავდამსხმელებიო... რას გიპირებენ?**

— მე რა უნდა დამიპირონ?

**— კლუბი ახალი თავდამსხმელის ძიებაშია, ანუ კიდევ ერთი კონკურენტი გამოგიჩნდება...**

— რა პრობლემაა, იყიდონ. არაფრის მეშინია. ისე, თავდამსხმელი მართლა გვჭირდება, ისედაც ცოტანი ვართ: მე და პარკსი. მეტი თავდამსხმელი არც გვყავს.

**— თან შენს არყოფნაში პარკსმა გოლების გატანაც დაიწყო...**

— არა უშავს. ჩემს მაგივრად „ასათასაც" ხომ გააქვს?

**— ისე, სამოყვარულო გუნდებთან მაინცდამაინც შედეგიანობით ვერ დაიკვეხნით...**

— ეს თამაშები დიდად არც გვაინტერესებს. უბრალოდ, მოედანს ვეჩვევით და გარკვეულ სქემებს ვამუშავებთ. გერმანულ შეკრებაზე კი სერიოზული სპარინგები გვექნება.

**— თებერვალში ხომ თურქმენეთში მიდიხართ „პრეზიდენტის თასზე" სათამაშოდ, გერმანიაში წასვლას როდისღა ასწრებთ?**

— თურქმენეთში ჩვენი სარეზერვო გუნდი მიდის. იქ ტურნირი თურმე სინთეტიკურ საფარზე ტარდება და სიომინმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამიტომაც ჩვენ გერმანიაში გავაგრძელებთ მზადებას.

**— ერთი სიტყვით, ჩემპიონთა ლიგისთვის სერიოზულად ემზადებით. რას იტყვი თქვენს მეტოქე „მონაკოზე"?**

— ახლა ვუყურებთ „მონაკოს" თამაშს. ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენც არ ვაპირებთ რაიმეს დათმობას. ვფიქრობ, ყველაფერი საპასუხო მატჩში გაირკვევა, „მონაკოს" მოსკოვში ძალიან გაუჭირდება.

**— ესე იგი, გოლის გატანა შეიძლება?**

— აბა, რისთვის ვარ თავდამსხმელი, ჩემი საქმე ხომ გოლებია... თუმცა რა დროს ეგაა, მანდ რა ამბებია, დანიშნეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი?

**— ჯერ არა. ანრი მიშელმა იანვრის ბოლომდე უნდა თქვას პასუხი. მერაბ ჟორდანია არ გაუთავისუფლებიათ და მიშელიც ჯერჯერობით თავს იკავებს.**

— მერე დრო რომ გადის? კარგი იქნება, თუ მალე დაგვადგება საშველი. ასე გაურკვევლობაში ყოფნით ბევრს წავაგებთ.

**— ყოველ შემთხვევაში, კვიპროსის ტურნირზე ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. ისე, შენ თებერვალში ალბათ ნაკრებს ვერც შეეშველები...**

— ჰო, შეიძლება თავი შევიკავო. ძალიან მძიმე გრაფიკი მექნება. თან ეს ტურნირი უეფას დღეებში არაა და კლუბსაც უფლება ექნება, არ გამომიშვას. ალბათ, ნაკრების და ფედერაციის ხელმძღვანელობას ვთხოვ და შეთანხმებას მივაღწევთ.

*მიხეილ აშვეთიასთან საუბრის შემდეგ კი მცირე კომენტარი საფრანგეთში ორი გოლის გამტან* ***მალხაზ ასათიანსაც*** *ვთხოვეთ:*

— ჯერჯერობით სუსტ გუნდებს ვხვდებით და ამ გოლებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც ვანიჭებ, მაგრამ მაინც მიხარია. სიომინმა ორივე მატჩში საყრდენ ნახევარმცველად მათამაშა. ვნახოთ, მომავალში რა იქნება. მხოლოდ ამხანაგური მატჩები ჩემთვის არაფერს ნიშნავს. იმედი მაქვს, ოფიციალურშიც მომიწევს მოედანზე გასვლა.

*ბოლოს გეტყვით, რომ „ლოკომოტივი" ფრანგულ შეკრებას 25 იანვარს დაასრულებს და მოსკოვში დაბრუნდება, სამ დღეში კი გერმანიას მიაშურებს.*

**ქახა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთიამ „მონაკოს" დაუმიზნა

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ირანის ჩემპიონი, ისპაჰანის „სეპაჰანი“ სპარსეთის 14-გუნდიან ლიგაში ახლა მეექვსე ადგილზეა – ჯაბა მუჯირი ძირითადში სისტემატურადაა და ბოლო ტურში ირანის ყველაზე სახელიანი ფეხბურთელის წინააღმდეგაც მოუწია თამაშმა...*

# მტერს მოხვდა დაეის შუბლი

## ჯაბა მუჯირი არარატ კლუბში მიიღეს





ბუნდესლიგამოვლილი ალი დაეი ირანულ ჩემპიონატში ბაირამობს

— ლიდერ „ესტეღალს“ თერთმეტი ქულით ჩამორჩებით — ჩემპიონობას „სეპაჰანი“ ალბათ ვერ შეინარჩუნებს...

— ბოლო ექვს ტურში ზედიზედ ოთხი თამაში მოვიგეთ და ლიდერთან სხვაობა ექვსი ქულით შევამცირეთ — ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი და სტიმული მოგვეცა, მაგრამ მომდევნო ორი შეხვედრა წავაგეთ. ბოლო ტურში შინ „პერსპოლისთან“ დავმარცხდით, ვიგებდით, მაგრამ თეირანელებმა ხელით გაიტანეს და მსაჯმა ჩათვალა, შემდეგ ბოლო წუთებზეც გავუშვით და 1:2.

— „პერსპოლისში“ ალი დაეი თამაშობს, ვისაც ირანის ჩემპიონატში და ნაკრებში ყველაზე მეტი გოლი გაუტანია და მიუნხენის „ბაიერნში“ გერმანიის ჩემპიონიც გამხდარა...

— დაეიმ ჩვენს წინააღმდეგაც ითამაშა. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ყველა ბურთი მისკენ იგზავნებოდა. დაეი თავით და კორპუსით მართლაც ჩინებულად თამაშობს, თუმც დასწრებაზე თამაშს გაურბის. როცა მეტოქე ფლანგიდან გვიტევდა, დაეი ჩვენი კარის შორეული ძელისკენ მიდიოდა, რათა ჩაწოდებული ბურთი თავით მოეგო — დაეი საერთოდაც სულ ასე თამაშობს.

— მარცხენა მცველი ხარ და ალბათ ეპიზოდებში შენც მოგიწევდა მისი მეურვეობა...

— ეგრე იყო და დაეის ამ მატჩში ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნია. ფეხით თამაშზე თუ ვიტყვით, დაეი დიდი ვერაფერი ფეხბურთელია, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებს — თავით ბურთს ისე ურტყამს, როგორც ამას ფეხის „პალიომით“ აკეთებენ, თუმც ჩვენთან ვერაფრით გამოირჩა.

— „სეპაჰანის“ მთავარი პრობლემა რა არის?

— თავდასხმაში გვიჭირს, ჩვენი საუკეთესო ფორვარდი ელმუნდ ბეზიკი ტრავმირებულია. ხუთი ასპროცენტიანი მომენტი გვქონდა, მაგრამ ბურთს სულ ცხვირპირში ურტყამდნენ „პერსპოლისის“ მეკარეს. ისე, „პერსპოლისი“ და „ესტეღალი“ ირანის ყველაზე ელიტარული გუნდები არიან, ხან ერთი ხდებოდა ჩემპიონი, ხან მეორე, ერთი „სეპაჰანი“ გამოდგა ისეთი არათეირანული გუნდი, წინა სეზონში მათ რომ აჯობა.

— ვალტერ გუჩუა და სერგო ჭურაძე როგორ მოეწყვნენ მეორე ლიგის „ტაბა ბატერში“?

— გუჩუამ ახლახან გოლიც გაიტანა, ხოლო ჭურაძე ჯერ მხოლოდ ვარჯიშობს — მეორე ლიგაში ლეგიონერთა ლიმიტია და ჭურაძე მომდევნო ჩემპიონატიდან დაიწყებს თამაშს.

— აზიის საკლუბო თასის გათამაშება როდის იწყება?

— თებერვლის შუა რიცხვებში. ჩვენი პირველი მეტოქე უზბეკეთის „ნეფთჩია“, შემდეგ ქუვეითის და საუდის არაბეთის ჩემპიონებთან მოგვიწევს ბრძოლა — „სეპაჰანის“ ხელმძღვანელობა ამ ტურნირს ძალიან სერიოზულად ეკიდება.

— ახალ წელს როგორ შეხვდი ისპაჰანში?

— ირანელებისთვის ახალი წელი არანაირ ზეიმს არ წარმოადგენს, მაგრამ აქაური და ჩამოსული სომხებისთვის პირიქით. ჩემმა თანაგუნდელმა ლევონ სტეპანიანმა „არარატ კლუბში“ წამიყვანა. სომხებს ირანში შეზღუდვები არა აქვთ და საკმაოდ კარგი დრო გავატარეთ — სახლში ჯდომას იქ ყოფნა სჯობდა.

**დავით თავართქილაძე**

# და ამოვხიე წყენის ფურცლები

## ვაშაკიძემ მომავალი დაინახა

### არსენალის ქართველ ავტორიტეტს სილაგაძე შეემატა, დანარჩენები ვნახოთ

*ივო შუშაკის მოსვლის შემდეგ თბილისის „დინამოს“ გამოეკვეთა სტაბილურად მოთამაშე ფეხბურთელთა ბირთვი. ჩემპიონატის და თასის მატჩების მთელი სიმძიმეც 8-9 კაცზე გადადიოდა. მათ შორის იყო დინამოელთა 4 ნომერი ირაკლი ვაშაკიძე. თუმცა მალე მისი საქმეები უკან-უკან წავიდა, სათადარიგოთა სკამს გაუშინაურეს და ირაკლიმაც გუნდში დარჩენა იუარა. კარიერა თბილისის „ლოკომოტივში“ გააგრძელა და ამ გუნდის ზედა ექვსეულში მოხვედრაში თავისი წვლილი შეიტანა. თანაც გაიტანა 4 გოლი, რაც მცველისთვის ურიგო შედეგი ნამდვილად არაა. ორი დღის წინ ირაკლი თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიიდან დაბრუნდა, სადაც კიევის „არსენალს“ აწონებდა თავს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, უკრაინული ლიგა კიდევ ერთი ქართველით გამდიდრდება*





— ირაკლი, რა გზით მოხვდი „არსენალის სინჯებზე“?

— მენეჯერმა ივანე ჯუღელმა ამ კლუბს ჩემი თამაშების ვიდეოფირი გაუგზავნა. მალე „არსენალის“ მთავარ მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნის მიწვევაც მივიღე — ანთალიაში ჩამოდი გასასინჯადო.

— საქმეში მალევე გნახეს?

— დილით ჩავედი და საღამოს უკვე გუნდთან ერთად ვივარჯიშე. დღეში სამჯერ, იშვიათად კი ორჯერ ვვარჯიშობდით. სამ ამხანაგურ მატჩში ვითამაშე, პირველი ჰოლანდიურ გუნდთან გვქონდა, სახელი არ მახსოვს და 3:2 მოვიგეთ. შემდეგ თურქეთის პირველი დივიზიის კლუბი დავამარცხეთ 2:1 და ბოლოს რუსულ „სატურნთან“ 0:3 დავმარცხდით.

— ჩვეულ ამპლუაში მოგიწია თამაშმა?

— პირველ შეხვედრაში მეორე ტაიმიდან მათამაშეს და დაცვის მარჯვენა ფრთაზე დამაყენეს, თურქებთან შუაში, ეგრეთ წოდებულ წინა მცველად და 90 წუთი დავყავი მოედანზე. „სატურნთან“ მარცხენა ფრთაზე ვითამაშე, მოკლედ, ყველგან მომსინჯეს.

— თბილისში საკმაოდ მალე მოგიწია დაბრუნებამ, რატომ?

— სამწუხაროდ, ორ კვირიანზე ხანგრძლივი ვიზის გაკეთება ვერ მოხერხდა, ვადა ამოიწურა და იძულებული ვიყავი, უკან დავბრუნებულიყავი.

— გროზნის თუ ესაუბრე?

— მასთან საკმაოდ საქმიანი საუბარი მქონდა. მაგრძნობინა, რომ ჩემი ფიზიკური მონაცემებით, თავით თამაშით და პოზიციის შერჩევის უნარით კმაყოფილი იყო. 1 თებერვალს კიევში უნდა ჩავიდე, ხუთი დღე გუნდთან ერთად ვივარჯიშებ და 6 თებერვლიდან ისევ ანთალიაში გავყვები კიეველებს. სხვათა შორის, „არსენალის“ გარდა, უკრაინის უმაღლესი ლიგის კიდევ ერთ კლუბს, ლუცკის „ვოლინს“ სურდა ჩემი შეკრებაზე წაყვანა. ამ გუნდში სალუქვაძე და ჭიჭვეიშვილი ისინჯებიან. თუმცა გროზნიმ ჩემი გაშვება არ ისურვა და მაგრძნობინა, რომ ჩემით სერიოზულად იყო დაინტერესებული. „არსენალს“ ტანმაღალი მცველები არ ჰყავს და ამითაც დავიმსახურე გროზნის სიმპათია.

— მოსამზადებელ პერიოდში უკრაინულ კლუბებს საკმაოდ დიდი დატვირთვები სჩვევიათ...

— „არსენალი“ ამ მხრივ რადიკალურად განსხვავდება სხვა უკრაინული კლუბებისგან. დილით მოთელვისა და სირბილის შემდეგ აქცენტი ბურთზე მუშაობაზე კეთდებოდა, საღამოს კი მხოლოდ კომბინაციები და სხვადასხვა სათამაშო სიტუაციები იხვეწებოდა.

— სხვა ქართველების საქმეები როგორ მიდის?

— შეყილაძეს დიდი ავტორიტეტი აქვს. ფეხბურთელებიდან დაწყებული, გროზნით დამთავრებული, ყველა უდიდეს პატივს სცემს. აფხზავას დაღუპვამ ხომ საერთოდ შეძრა ყველა. მე თურქეთში რომ ჩავედი, ნახევარი გუნდი ისევ ბათუმში იყო შალვას დაკრძალვაზე. სილაგაძის კონტრაქტის ამბავი გადაწყვეტილი ამბავია. მალანია და ყიფიანი, სამწუხაროდ, გამოუშვეს. ჩემთან ერთად კიევში წამოვა გონჩაროვიც. მას საბოლოო პასუხს ანთალიური შეკრების მერე ეტყვიან.

— რა მიზნებს ისახავს „არსენალი“ ახალ სეზონში და საერთოდ, უკრაინული საზომებით როგორი გუნდია?

— ძალიან მდიდარი კლუბიაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც გაჭირვებული ეთქმის. მთლიანად ქალაქის მუნიციპალიტეტის კმაყოფაზეა. მთავარი ამოცანა, რაც „არსენალს“ დაუსახეს, უკრაინული ფეხბურთის გრანდებთან კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებაა. ხუთეულში მოხვედრა კარგ შედეგად ჩაითვლება. მე ამ გუნდთან ურთიერთობით ჩემი საფეხბურთო მომავალს სულ სხვა თვალით შევხედე. საქართველოში 26-27 წლის ფეხბურთელს ჩამოწერენ-ხოლმე იქ კი 33 წლის შეყილაძეს ხელის გულზე ატარებენ. თანაც ჩემპიონატის დონეც გაცილებით მაღალია, ასეთ დონეზე თამაშით ბევრს დავუმტკიცებ, რომ ჩემს შეფასებაში შეცდნენ.

— შენს სიტყვებში წყენაც იგრძნობა, ალბათ „დინამოსაც“ გინდა დაუმტკიცო, რომ უსამართლოდ მოგექცნენ...

— საერთოდ, ბოღმა კაცი არა ვარ, მაგრამ სამწლიან კონტრაქტზე ხელს რომ მოგაწერინებენ და მერე უცებ გაგრძნობინებენ, აღარ გვჭირდებიო, ძნელია. მე თავმოყვარე კაცი ვარ და სკამზე ჯდომას ვერ შევეგუებოდი. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, „ლოკომოტივში“ რომ წავედი, ნორმალურად ავთამაშდი და 4 გოლიც გავიტანე. ასეთი შედეგიანი „დინამოშიც“ არ ვყოფილვარ. ახლა „არსენალში“ ჩემთვის ახალი დრო იწყება. შეგიძლიათ თქვათ, რომ ჩემს საფეხბურთო ბიოგრაფიას ცარიელი ფურცლიდან ვიწყებ.

**დავით ერაძე**

# ყველა ნახევარდაცვაში იდგა

## იტალია

### თასის 1/4 ფინალი საპასუხო მატჩი

**რომა 1:2 *მილანი* (1:2)**

**0:1 ნესტა (49), 0:2 ტომასონი (57), 1:2 მანსინი (81)**

**რომა: ძოტი, დელასი (კარეუ 63), პანუჩი, ვ. სამუელი, კანდელა, დაგოსტინო, დე როსი (ვაჰაბი 73), ტომაზი (დაკური 63), ფ. ლიმა, მანსინი, დელვეკიო**

**მწვრთნელი: ფაბიო კაპელო**

**მილანი: დიდა, შიმიჩი, მ. ლაურსენი, კოსტაკურტა, პანკარო (ნესტა 46), ბროკი, ფ. რედონდო, ამბროზინი (გატუზო 50), ზეედორფი, სერჟინიო (ბორიელო 72), ტომასონი**

**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**

**გაფრთხილება: დელასი, ვაჰაბი**

**მსაჯი: პელეგრინო**

**49 136 მაყურებელი**



იონ დალ ტომასონმა ცაცია საგოლედ მოიქნია

ყველაფერი გაირკვა: „მილანი“ იტალიის თასის ნახევარფინალში „ლაციოს“ ხვდება, მეოთხედფინალის როგორც პირველ, ასევე მეორე მატჩში „შავ-წითლებმა“ რომაელებს 2:1 მოუგეს. „რომას“ კარში საპასუხო შეხვედრაში გოლები გაიტანეს ყოფილმა ლაციოელმა ალესანდრო ნესტამ და იონ დალ ტომასონმა.

უნდა ითქვას, რომ პირველი შეხვედრის წაგების მიუხედავად „რომას“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ გუნდის ლიდერი, ფრანჩესკო ტოტი არ ათამაშა და ერთადერთი ფორვარდის ფუნქცია მარკო დელვეკიოს მიანიჭა. ერთადერთი თავდამსხმელით თამაშობდა „მილანიც“ და გამოვიდა, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მოედნის შუაგულში ფეხბურთელების ტევა აღარ იყო. ალბათ, სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ პირველ ტაიმში გუნდებმა მომენტი სულ ერთი თუ ორი რომ შექმნეს. კერძოდ, მილანელთაგან ტომასონმა ხეირიანი პოზიციიდან ვერ დაუმიზნა კარს, ხოლო რომაელთაგან მანსინიმ დელვეკიოს ჩააწოდა, ხოლო მან ცხრაათი მეტრიდან ააცილა კარს.

შესვენებისას კარლო ანჩელოტიმ მოედანზე ნესტა შეიყვანა და ამით დაცვა კიდევ უფრო გააძლიერა, მაგრამ მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე ნესტამ არათუ თავი დაიცვა, არამედ ანგარიშიც კი გახსნა — დამიანო ტომაზის აზტომაში აჯობა და თავით შეაგდო. 57-ე წუთზე კი ჩემპიონთა თასის მფლობელმა გუნდმა მეორე გოლი გაიტანა. ეს ასე მოხდა, პანუჩისაც აჯობა და ცაციათი დაუმიზნა.

ამის შემდეგ „რომას“ საქმე თავმოყვარეობის აღდგენაღა იყო და ეს მეტ-ნაკლებად მოახერხა კიდეც — უყურადღებოდ დარჩენილმა მანსინიმ დიდას გაუტანა.

**პაპუნა ქედია**

# ალბათობა და სამი ნაღდი

## ესპანეთი

### თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

**ბარსელონა 0:1 სარაგოსა**

**0:1 ვილია (743)**

**ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი, მარკესი (ლუის გარსია 81), ოსკარ ლოპესი, ოლეგერი, დავიდსი, კოკუ (ხავი 46), ხერარდი, რონალდინიო, კლუივერტი (ოვერმარსი 71), სავიოლა**

**მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი**

**სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, კუარტერო (ხენერელო 67), ალვარო, მილიტო, გალეტი, სავიო (ჩანი 40), პონციო, დავიდ პირი, იორდი (ვილია 46), დრულიჩი**

**მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი**

**გაფრთხილება: ალვარო, კოკუ, კუარტერო, კლუივერტი, ხერარდი, დავიდ პირი, პონციო, დავიდსი, ოლეგერი, ხენერელო, რონალდინიო**

**მსაჯი: მეია დგვილა**

**75 000 მაყურებელი**

**ალავესი 4:2 სელტა**

**0:1 პინილია (9), 1:1, 2:1 რუბენ ნავარო (22, 39), 2:2 პინილია (49), 3:2 რუბენ ნავარო (51), 4:2 მაგნო (54)**

რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამეფო თასის სამი ნახევარფინალისტი უკვე ცნობილია. ძნელი დასაჯერებელია, რომ საპასუხო მატჩებში მადრიდის „ატლეტიკო“ „სევილიას“, სულ მცირე, ოთხ ბურთს გაუტანს, „ვალენსია“ კი „რეალს“ სამი უპასუხო გოლით გაუმასპინძლდება. მართალია „ალავესი“ ბედის უკუღმართობით სეგუნდადივიზიონის ბინადარია, მაგრამ ასევე საეჭვოა, გაჭირვებულმა „სელტამ“ ორბურთიანი სხვაობით დაამარცხოს. ფაქტობრივად, „ბარსელონასა“ და „სარაგოსას“ შორის უმჯობესის გამოვლენაღა დარჩა.

„ალავესი“ მეცხრე წუთისთვის მარცხდებოდა. პეტერ ლუქსენის ჩაკიდებულ ბურთს მაურისიო პინილიამ თავი შეაგება და ხალხს აფიქრებინა, ნახევარფინალში სეგუნდადივიზიონელის ადგილი აღარ არისო. მაგრამ თურმე ჯერ სად ხართ. რუბენ ნავარომ ჰეთ-თრიქის შესრულება ინება და ცხადია, მატჩის გმირიც შეიქნა. პინილიამ კი მხოლოდ დუბლი გაქაჩა.

„საპასუხო მატჩში „ბარსას“ უმძიმესი ბრძოლა ელის, მით უმეტეს, „კამპ ნოუზე“ ულიმღამო თამაშის მერე“ — წერია კლუბის ვებ-გვერდზე. ანუ თავად კატალონიელებიც არ არიან გულზე, სარაგოსაში იქაურებს ბდღვირს გავადენთო.

ამ მატჩში ერთადერთი გოლი მეორე ტაიმში გავიდა. არბიტრმა დრულიჩის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ხერარდი პენალტით დასაჯა, დავიდ ვილიამ კი გაიტანა.

ამ პენალტის თაობაზე კატალონიელები წერენ, უსამართლოდ დაინიშნაო და დასძენენ — ის თუ პენალტი იყო, ექვსი წუთის მერე სავიოლა რომ წააქციეს, ის რაღა არ იყოო.

თუმცა მსაჯის შეცდომებზე წუწუნის მიუხედავად, კატალონიელები მაინც ამბობენ, „სარაგოსამ“ უკეთ ითამაშა და მოგებაც ეკუთვნოდაო.

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ „სარაგოსაში“ ახლახან დანიშნული მწვრთნელი ვიქტორ მუნიოსი სწორედ ის ვიქტორია, 1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე 5-ნომრიანი მაისურით რომ თამაშობდა და მეოთხედფინალს უწია, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში კი ბარე სამოცდაათჯერ უთამაშია. სხვათა შორის, ვიქტორ მუნიოსი „ბარსელონას“ ფეხბურთელი იყო.



ბარსელონა — სარაგოსა. პატრიკ კლუივერტი სარაგოსელ მცველებში გაეჩხირა

**კოტე კეკელია**

*„რომას“ უფროსობამ „რეალის“ უფროსობას შეუთვალა, ფრანჩესკო ტოტის გადაბირებაზე სიზმარშიც არ იფიქროთო*

ეროვნული

# NO ტოტიზე არც იფიქროთ სენიორ ფლორენტინო!



რომაელთა ეს გაფრთხილება ესპანურ გაზეთებში გუშინწინ გაჩენილ ცნობას მოჰყვა, ფლორენტინო პერესი ამ ზაფხულს უეჭველად ეცდება ტოტის ან სამი სხვა ფეხბურთელის გადაბირებასო.

მოგეხსენებათ, რაც პერესი „რეალის“ პრეზიდენტი გახდა, ყოველ ზაფხულს ერთი დიდი გარიგება აუცილებლად უნდა გააჩერხოს. ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, რონალდო, დევიდ ბექემი — საეჭვოა, პერესმა წესს უღალატოს და ამ ვარსკვლავკრებულის გაზრდას არ ეცადოს. ტოტიზე ლაპარაკიც აქედან მოდის.

„სიმართლე გითხრათ, ერთი და იგივეს გამეორებით დავიღალე, ფრანჩესკო ტოტი არ იყიდება — თქვა რომაელთა სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ — საინტერესო იცით რა არის? ამდენი წელია, გაზეთებში წერენ ტოტი ამა და ამ გუნდებს უნდათო, რეალურად კი არავინ შეგვხმიანებია. აქედან გამომდინარე, ვერ გამიგია, რატომ ავრცელებენ ასეთ ხმებს. ისე კი, თუ ოდესმე რომელიმე გუნდი მაინც დაგვიწყებს ტოტის გაყიდვაზე ლაპარაკს, ჩვენ მოკლედ ვუპასუხებთ — არა.“

გაზეთებში დაიწერა, რომ „რეალი“ ტოტის სანაცვლოდ 25 მილიონ გირვანქას იხდის.

ზემოთ ტოტის გარდა სამი სხვა ფეხბურთელი რომ ვახსენეთ, ბარემ მათი ვინაობაც გავამხილოთ — რუუდ ვან ნისტელროი, ტიერი ანრი და მაიკლ ოუენი.

**ირაკლი ნინიძე**

# დარჩი ჩვენთან!

## იუვენტუსმა ტრეზეგეს ოთხი წელი შესთავაზა



ბოლო თვეებია, ლაპარაკობენ, დავიდ ტრეზეგეს იტალია მობეზრდა და ინგლისისკენ ან ესპანეთისკენ მიუწევს გულიო. ფრანგის გადაბირების მსურველ კლუბებსაც ასახელებენ — „არსენალი“, „ჩელსი“, „ბარსელონა“.

ვინძლო, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, საიდანაც წამოვიდა ეს ლაპარაკი, თუ გავიხსენებთ, რომ ტრეზეგეს ტურინის „იუვენტუსთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდება. ამ დროს კი მოგეხსენებათ, რაც ხდება-ხოლმე. კლუბი შეშინებულია, რომ მულტიმილიონიანი ფეხბურთელი მუქთად არ გაუფრინდეს და კარგა ხნით ადრე ჩამოუგდებს-ხოლმე ახალი კონტრაქტის შედგენაზე სიტყვას. ფეხბურთელთა გაქნილი აგენტები კი მაზანდას სწევენ, ათას სხვა ვარიანტებზე იწყებენ ლაპარაკს და ამით კლუბს კიდევ უფრო აშინებენ. საბოლოოდ, კლუბი ახალი კონტრაქტის გაფორმების სანაცვლოდ ფეხბურთელს ხელფასის გაზრდას ჰპირდებიან.

დიდი ეჭვია, რომ ტრეზეგეს იტალიიდან აბარგების თაობაზე გახშირებული ლაპარაკიც ამ მიზნით იყო დაწყებული, რადგან ტურინელთა შეფობამ განაცხადა, ფრანგ ფორვარდთან თითქმის მივაღწიეთ შეთანხმებას და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა და საქმე ბოლომდე მივიყვანეთ, ფრანგი „იუვენტუსში“ 2008 წლამდე დარჩებაო.

იგივე ითქვა მეორე იუვენტუსელზე, ალესიო ტაკინარდიზე, რომელსაც ასევე გაისად უსრულდება კონტრაქტის ვადა და მასაც ალბათ ახალი კონტრაქტით მოთაფლავენ.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალან სმიტზე დიდი ტაციაობაა

# ბინძური ვაჭრობა

## ლიდსს სმიტი მუქთად არ ეთმობა

### კაცური სიტყვა მხოლოდ ჯორდებმა თქვეს

*იანვრის სავაჭრო ფანჯარა ერთგვარი ხსნაა გალატაკებული და შეჭირვებული „ლიდსისთვის“, რომელიც, როგორც ჩანს, მაინც შეელევა თავისი სიდიადის უკანასკნელ ნაშთებს: ალან სმიტს, პოლ რობინსონს და მარკ ვიდუკას.*

*ამ თვეშივე „ლიდსმა“ ხუთი მილიონი გირვანქის ოდენობის პროცენტი უნდა დაფაროს, ეს ფული კი არა აქვს. ხოლო „ტოტენჰემის“ გაქნილი პატრონი დენიელ ლევი, რომელიც ახლა უკვე დაეძებს კლუბის ახალ მენეჯერს, ფეხბურთელების საყიდლად კი 15 მილიონი გადაუდევს, იორკშირელთა იაფად შეძენას ცდილობს.*

| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერბირლ. | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,5 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| ბოსტონი | 20,0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| სან ხოსე | 25,0 |
| რეინჯერსი | 25,0 |
| ატლანტა | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ანაჰაიმი | 35,0 |
| მინესოტა | 35,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 75,0 |
| ჩიკაგო | 75,0 |
| ნეშვილი | 75,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| კოლამბუსი | 125,0 |
| პიტსბურგი | 125,0 |
| ვაშინგტონი | 125,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,65 |
| საკრამენტო | 4,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 12,0 |
| მინესოტა | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 25,0 |
| ფილადელფია | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| პორტლენდი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| სიეტლი | 75,0 |
| იუტა | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| გოლდენ სტ. | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| ფინიქსი | 100,0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ორლანდო | 150,0 |
| მაიამი | 200,0 |
| ატლანტა | 250,0 |
| ვაშინგტონი | 250,0 |
| ჩიკაგო | 250,0 |
| კლივლენდი | 300,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| **24 იანვარი** | | | | |
| 21.00 | 5302 | სიენა-პერუჯა | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 5303 | სამპდორია-რეჯინა | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5314 | რეალი-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 5316 | ალბასეტე-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| **25 იანვარი** | | | | |
| 18.00 | 5304 | კიევო-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5305 | ლეჩე-ლაციო | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 5306 | მილანი-ანკონა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5308 | მოდენა-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5309 | პარმა-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5310 | რომა-უდინეზე | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5311 | ემპოლი-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5317 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5318 | ვალენსია-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5319 | სარაგოსა-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5320 | რასინგი-მურსია | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5321 | სელტა-სოსიედადი | 1,6 | 2,0 |
| 20.00 | 5322 | ესპანიოლი-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 22.00 | 5323 | სევილია-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 24.00 | 5324 | ბილბაო-დეპორტივო | 1,6 | 2,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| **24 იანვარი** | | | | | |
| 21.00 | 5502 | სიენა-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5503 | სამპდორია-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5514 | რეალი-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5516 | ალბასეტე-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| **25 იანვარი** | | | | | |
| 18.00 | 5504 | კიევო-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5505 | ლეჩე-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5506 | მილანი-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5508 | მოდენა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5509 | პარმა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5510 | რომა-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5511 | ემპოლი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5517 | მალაგა-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5518 | ვალენსია-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5519 | სარაგოსა-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5520 | რასინგი-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5521 | სელტა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5522 | ესპანიოლი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 5523 | სევილია-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5524 | ბილბაო-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **24 იანვარი** | | | | | | | | | | | |
| 21.00 | 5102 | სიენა-პერუჯა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.30 | 5103 | სამპდორია-რეჯინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.30 | 5114 | რეალი-ვილიარეალი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.30 | 5116 | ალბასეტე-ატლეტიკო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| **25 იანვარი** | | | | | | | | | | | |
| 18.00 | 5104 | კიევო-ბრეშა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5105 | ლეჩე-ლაციო | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.00 | 5106 | მილანი-ანკონა | 1,15 | 25,0 | 50,0 | 3,8 | 7,5 | 30,0 | 40,0 | 40,0 | 30,0 |
| 18.00 | 5108 | მოდენა-ინტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 18.00 | 5109 | პარმა-ბოლონია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 5110 | რომა-უდინეზე | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 15,0 | 20,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 5111 | ემპოლი-იუვენტუსი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 20.00 | 5117 | მალაგა-ვალიადოლიდი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 5118 | ვალენსია-ოსასუნა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 20.00 | 5119 | სარაგოსა-მალიორკა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 5120 | რასინგი-მურსია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.00 | 5121 | სელტა-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 5122 | ესპანიოლი-ბეტისი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 1,00 | 4,0 |
| 22.00 | 5123 | სევილია-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 5124 | ბილბაო-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 24.01 21.00 | 6001 | იტალია A (XVIII) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 24.01 22.30 | 6002 | ესპანეთი Iდ (XXI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 24.01 23.00 | 6005 | ბელგია Iდ (XIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## რაგბი

# მორაგბეებმა არჩევნები დაასეკვესტრეს

*საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის მეორე დღეს წინამძღოლის არჩევნებს რაგბის კავშირიც გამართავს. 26 იანვარს მოქმედ პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს ერთადერთი კონკურენტი მერაბ ანთაძე ეყოლება. აღსანიშნავია, რომ წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ხმების რაოდენობა დაახლოებით სამჯერ შემცირდა. ქვემოთ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ რობიტაშვილი არჩევნების საკითხებზე საუბრობს*

— რატომ შემცირდა ხმების რიცხვი?

— 2000 წლის არჩევნებამდე ყრილობამ გადაწყვიტა, ვინც კი ქართულ საქმეს აკეთებდა, ყველას ხმა დაფიქსირებულიყო. ბავშვთა კლუბებსაც კი მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. ის წესდება შესაცვლელი იყო.

— მაშინ ის გვითხარით, ახალი წესდების თანახმად რა პრინციპით განაწილდა ხმები?

— კლუბებს, რომელთა რიგებშიც 25 აქტიური წევრია, 1 ხმის უფლება აქვთ. დამატებით ხმას იღებენ ის კლუბები, რომლებიც სამივე ასაკობრივ ჯგუფს მოიცავენ.

— მაშინ თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად, რომელ კლუბს რამდენი ხმა ექნება?

— დაკონკრეტება რაში გაინტერესებთ, მე მგონი, ეს თქვენთვის არცთუ მნიშვნელოვანია.

— ბავშვთა კლუბებისთვის ხმის ჩამორთმევა მოქმედი პრეზიდენტის წისქვილზე ხომ არ ასხამს წყალს?

— არავითარ შემთხვევაში. ბიძინა გეგიძის კონკურენტის კანდიდატურა რაგბის მხარდამჭერთა ლიგის თაოსნობით ისეთმა დიდმა კლუბებმა წამოაყენეს, როგორებიც „ლოკომოტივი", „ლელო", „არმაზი" და „ხულიგანაა".

— არჩევნები ყრილობის ბოლო ნაწილია. მანამდე რა საკითხები განიხილება?

— დღის წესრიგის ძირითადი ნაწილები ბიძინა გეგიძის საანგარიშო მოხსენება, წესდებაში ცვლილებების შეტანა, პრეზიდენტობის კანდიდატთა საპროგრამო გამოსვლები და უშუალოდ არჩევნებია. რა თქმა უნდა, არის კიდევ რამდენიმე წვრილ-წვრილი საქმეც.

— კენჭისყრა ღია იქნება თუ ფარული?

— წინა არჩევნები ღია კენჭისყრით ჩატარდა, ამჯერად კი ამ საკითხსაც ყრილობა გადაწყვეტს.

— თქვენი აზრით, რომელი ჯობია?

— ჩემი აზრით, ალბათ მაინც ფარულად ჩატარება სჯობს.

— რატომ?

— თუნდაც იმიტომ, რომ არჩევნები ძირითადად ასეთი გზით იმართება ხოლმე, საპარლამენტოც და საპრეზიდენტოც.

— ზუსტად რამდენ კაცს ექნება ხმის უფლება?

— ოცდარვას და გამარჯვებული შეიძლება მცირე უპირატესობითაც გამოვლინდეს.

— თუკი კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს?

— მაშინ პრეზიდენტად ბიძინა გეგიძე დარჩება.

— ჟურნალისტებს არჩევნების გაშუქების საშუალება თუ გვექნება?

— თავისთავად, თუმცა დარბაზში მასმედია ვერ შემოვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



მიხეილ რობიტაშვილი

## ჩოგბურთი

# ავსტრალიის ღია პირველობა 2004

### მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი [illegible]



REUTERS მელბურნიდან

ენდი როდიკმა თანამემამულე ტაილორ დენტი ჯერ გაანადგურა და მერე მოუბოდიშა

# უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი

### მესკაცები

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ტაილორ დენტი (27, აშშ) 6:2, 6:0, 6:2; **ანდრე აგასი** (4, აშშ) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:0, 6:3, 6:3; **სებასტიან გროჟანი** (9, საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 2:6, 6:4, 6:1, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (13, ტაილანდი) — გუსტავო კუერტენი (19, ბრაზილია) 6:3, 7:5, 6:4; **სხენგ შალკენი** (16, ჰოლანდია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:6 (7:1), 6:4, 6:1; **რობი ჯინეპრი** (32, აშშ) — ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:5, 1:6, 4:6, 6:0, 7:5; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) 6:1, 6:3, 6:2

### ქალები

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (30, რუსეთი) 6:2, 7:5; **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:1, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:4, 6:0; **ვერა ზვონარიოვა** (11, რუსეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 7:5, 2:6, 6:1; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — ელენი დანილიდუ (19, საბერძნეთი) 6:4, 5:7, 6:3; **ფაბიოლა სულუაგა** (32, კოლუმბია) — ჟილ კრეიბასი (აშშ) 7:6 (8:6), 4:6, 6:2; **ალიშა მოლიკი** (ავსტრალია) — კლოდინ შაული (ლუქსემბურგი) 6:7 (4:7), 6:1, 6:2; **ანიკო კაპროში** (უნგრეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 3:6, 6:3, 12:10

ენდი როდიკისა და ტაილორ დენტის მატჩზე დასწრების მსურველთ ჩოგბურთზე მწერლები საგანგებო ჩაფხუტების შეძენას ურჩევნდნენ — აქაოდა, ეგ ორი ამერიკელი ვირგლა ისეთ ბრახა-ბრუხს ატეხავს, ემანდ რამე ფარსაგი არ დაგემართოთო. ანუ სხვაგვარად — მილეთი ენდიბოისა და მისი კბილა მეგობრისგან უშელავათო, დედა-შვილს-არაიყვანს-ხელში შეხლას მოელოდნენ.

არ გამოვიდა.

მართალია, დენტმა ამქრის უსტაბაშს პირველივე გეიმი წაართვა, მაგრამ მერე ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც უსტაბაშმა ისურვა.

მისი უმძიმესი ჭურვების წინააღმდეგ დენტს მართლაც არავითარი ჯავშანი არ აღმოაჩნდა — აიჭრა, ბურთი ბურთს ველარ წააბა და პირველი გათამაშებიდან 71 წუთის თავზე დანებდა კიდეც.

ჰოდა, რა გასაკვირია, შარშან სამი ტიტულის მომხვეჭი და მემფისურ ფინალში სწორედ როდიკის მძლეველი ზორბა ბიჭი ნამატჩევს ძალიან ნაღვლიანი რომ ყოფილიყო?

ასე საშინლად არამცთუ კორტზე, ცხოვრებაშიც კი არასოდეს გავპარტახებულვარო, ამბობდა დენტი და მერე იმასაც დასძენდა — ნორმალური მოთამაშე მეტოქეს თავის ათ გეიმს არ უნდა აბარებდესო.

ენდი კი ეცადა, მეგობარი შეძლებისდაგვარად დაენდო და ტაქტიანად ნეიტრალური ფრაზებით შემოიფარგლა — დღეს მაგის საღამო ნაღდად არ იყო, მე კი არა უშავს გამომივიდაო და მისთანები.

მომდევნო მატჩს ყოჩი მასსა და დენტზე უფრო მაღალ, 1,93-მეტრიან სხენგ შალკენთან გამართავს და იმედია, მძაფრი კეჭნაობის მოლოდინი იმ ჯერზე მაინც არ გაგვიცრუვდება.

თუმცა გაცრუება გუშინ მხოლოდ როდიკისა და დენტის მატჩზე ითქმოდა, სხვა წყვილებიდან კი, სადაც ველოდით, ბარაქიანი სანახაობა მივიღეთ.

ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ავსტრალიის ღია პირველობის შარშანწინდელი და ათი წლის წინანდელი ვეება ფინალისტების — მარატ საფინისა და ტოდ მარტინის ხუთსეტიანი და 205-წუთიანი ჭექა-ქუხილი გამოდგა.

საფინმა კვლავ მისთვის ჩვეული მანერით ითამაშა — ხამუშ-ხამუშ ბრწყინვალე იყო, ხამუშ-ხამუშ კი სუფთა „ბრადიაგა". თუკი მარტინი ბურთის თამაშში დიდხანს დანარჩუნებას აზერხებდა, მარატს ნერვები ეშლებოდა და ეგრევე მიჰქარავდა. მაგრამ უკანასკნელ სეტს ის მაინც თავის 33 წლის მეტოქესთან შედარებით უფრო შენახული და ილაჯიანი შეხვდა. მატჩის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

მომდევნო წრეში საფინი ამერიკელსავე ჯეიმს ბლეიკთან ითამაშებს, ვინაც თავის მხრივ ციმციმ ჩაურბინა ფრანგ ოლივიე პასიანსს, კაცთა განყოფილებას შემორჩენილ ბოლო კვალიფიკანტს.

ბლეიკი და გოლიათი რუსი ერთმანეთს ამ ორიოდ კვირის წინ პერთში ჰოპმანის თასზეც შეხვდნენ და გამარჯვება მაშინ უფრო ბასრად მოჩოგნავე იანკის ერგო 7:6, 6:7, 6:4.

საფინი თვლის, რომ ის მატჩი მან შემთხვევით წააგო, ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნება და საერთოდაც — ყველამ უნდა შეიგნოს, მარატ საფინი დაბრუნდაო.

ასევე დიდ ინტერესს იწვევდა ტურნირის მესამე წრეში პირველად მოხვედრილების — პარადორნ შრიჩაფანისა და გუსტავო კუერტენის შეხვედრაც. აქ უფრო მეტი შანსები უფრო ღონიერსა და მძლავრად მოგლაჯუნე ტაილანდელს ენიჭებოდა. მაგრამ მან ძალას სიზუსტე და მრავალფეროვნებაც შეუხამა და ისე უზადოდ ითამაშა, რომ მეტოქე მატჩის სადავეებისთვის ერთხელაც არ გაუკარებია.

იმაზე დამთრგუნველი არაფერია, როცა ეთამაშები კაცს, ორი საათის განმავლობაში ბურთს რომ არ აცილებზე, ამბობდა [illegible] რად გაწბილებული [illegible]

პარადორნი კი ახლა მართლაც სახიფათო ფორმაშია და ჩანს, რომ ანდრე აგასის, ვისაც ამის მერე უნდა ერკინოს, გვარიან პრობლემებსაც შეუქმნის.

თუმცა შარშანდელი და კიდევ სამგზის ჩემპიონი არმენოამერიკელი უფორმობას არც თავად უჩივის და 1999 წლის ფინალისტ ტომას ენკვისტს გუშინ ისე ჩამოუთამაშა, როგორც რომ უთანრიგო ღლაპს.

არადა, მათი წინა ცხრა დაპირისპირებიდან ხუთი სწორედ შვედ მეჩოგნეს მოეგო და ავ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, მათ საიუბილეო გონდაგანაში ნატიფი ფაკირი მას მხოლოდ სტატისტის როლს თუ დააჯერებდა.

სხვათა შორის — ეს ანდრეს უკვე ზედიზედ 24-ე მელბურნული გამარჯვებაა. შრიჩაფანს კი ის ბოლოჯერ 2002 წლის უიმბლდონზე შეხვდა და... სენსაციურად იძლია 4:6, 6:7, 2:6.

ახლა ქალებზე.

ანგარიშებიდანვე დაატყობდით, მთავარგანთესილები აქაც უდანაკარგოდ მიიწევენ წინ. ერთადერთი შეუსაბამობა, რაიც გუშინ საქალეთში მოხდა, 22 წლისა და მსოფლიოში რანგით ოდენ 129-ე ჩოგნის მქნეველი უსახელო იტალიელის, მარა სანტანჯელოს მიერ მე-19 ნომრად განთესილი ბერძენი ელენი დანილიდუს გაიმასქნება გახლდათ.

მარამ პირველად გააღწია რაგინდარა სლემტურნირის მეოთხე წრემდე და იქ ალბათ სალოლმსხლობას გაუწევს ამქრის ჭინკა პირველოსან ჟუსტინ ენენს.

ენენმა გუშინ რიგიანად ჩააბარა თავისი პირველი რეალური გამოცდა, როცა 77-წუთიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად 30-ე ნომრად განთესილი რუსი სვეტლანა კუზნეცოვა დაიმორჩილა.

ამელი მორესმომა (4) და ლინდსი დევენპორტმა (5) კი მორიგი რანდევუები მიითვალეს. ერთი ეგ არის, რომ 24 წლის ლესბოსელს უსახელო მედინა გარიგესის რბევისას მარცხენა წვივის კუნთი გაუმაგრდა და მის დასაცხრობად მზელავის მოხმობაც მოუხდა.

ოღონდ 24 წლის მორესმო ამ ამბავს მაინც არად აგდებს და თვლის, რომ ტურნირის შერჩენილ ერთადერთ ოზ ალიშა მოლიკთან გასამართი მომავალი მატჩისთვის მას ვერაფერი შეაფერხებს.

შევახსენებთ, რომ იგი ავსტრალიის ღია პირველობის 1999 წლის ფინალისტია, თუმცა მას შემდეგ ტრავმიანობისა და სხვა რამეთა გამო ამგვარი წარმატების მიღწევა ველარსად მოახერხა.

რაც შეეხება დევენპორტს, იქ შეკრებილ ქალთაგან ტურნირის ერთადერთ ჩემპიონს, მან გუშინ სრულიად უხინჯო გამარჯვება იზეიმა. 27 წლის ლინდსი ახლა ჩინებულ ფორმაშია და მეოთხედფინალში მოსახვედრად ზეგ ბუსკუნა ვერა ზვონარიოვას გატყეპვა მოუწევს.

**ლევან ბელაურაძე**



REUTERS მელბურნიდან

პარადორნ შრიჩაფანი ავსტრალიურ მწვერვალებს მიადგა



# ვოვას პასუხიც მოვა

## პატარა ბორისა გერმანელებს ზვერავს

*გუშინ გამცნეთ, ანატოლი ბორისა მანუჩარ მარკოიშვილის „მიტელდოიჩერს" უნდაო. „პატარა" ბორისას უკვე ელიან გერმანიაში, მისი ძმის აგენტის პირით გერმანელებმა უკვე შემოუთვალეს ტოლიკას, ჩამოდი, გასინჯავთო. ანატოლი დილემის წინაშეა – ან „მიტელდოიჩერის" ვარჯიშებზე წასვლა, ან აგერ უკვე გარანტირებული ბათუმის „ბასკო". ტოლიკა ვოვაზე ავტორიტეტულს ვის იპოვის და სწორედ მის სიტყვას ელის...*

— დღეს ჩემი ძმა დამირეკავს და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მივიღებ, წავიდე თუ არა გერმანიაში.

— გერმანიაში თამაში რომ სჯობს აქ ყოფნას, ამას რა თქმა უნდა?

— ეგ ჰო, მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ „მიტელდოიჩერი" ჩასვლისთანავე ჩამრიცხავს გუნდში, მე კი ტყუილად წასვლა არ მინდა. გული გამიტყდება, რომ დამიწუნონ.

— გერმანელებს ხომ უნდიხარ, ალბათ კონტრაქტსაც გაგიფორმებენ...

— კი, ვუნდივარ, დღეს ველაპარაკე ჩემი ძმის მენეჯერ რიდ სალივანს, რომელმაც თითქმის დამარწმუნა, რომ უკან არ გამაბრუნებენ. თუ „მიტელდოიჩერის" ძირითადში ვერ მოხვდები, შედარებით სუსტ გუნდში გაგანათხოვრებენო. გერმანელებს უკვე უკითხავთ მარკოიშვილისთვის, ბორისას პატარა ძმა როგორი ბიჭიაო. მანუჩარს უთქვამს, ბავშვთა ლიგაში ყოჩაღობდა, ახლა კიდევ უკეთესი იქნებაო.

— მაშ, რაღას ელი, რატომ არ მიდიხარ?

— თუ ჩემი ძმა მეტყვის, არ წამოხვიდეო, არსადაც არ წავალ. ვოვამ ხუთი თითივით იცის ევროპული კალათბურთი და ჩემი შესაძლებლობები, ასევე გარკვეულია მწვრთნელების ფსიქოლოგიაში და მისი რჩევა ჩემთვის მთავარია.

— ვოვამ თუ გითხრა, მანდ დარჩიო?

— ბათუმის „ბასკოში" ვითამაშებ.

— რატომ მაინცდამაინც „ბასკოში"?

— ბათუმში ესმით კალათბურთი, კარგი ვარჯიშებია და იქ მთლიანად ამ საქმით ვქნები დაკავებული. ბათუმში არავის ვიცნობ. ჩემი მარშრუტი იქნება სახლი და დარბაზი, რუსთავში და თბილისშიც უამრავი მეგობარი მყავს. [illegible] იქით უბნის ბირჟაო, კალათბურთი, გინდა არ გინდა, მეორე პლანზე იწევს. „ბასკოში" უფრო დიდი პერსპექტივა მექნება, ვიდრე, ვთქვათ, „დინამოში", ბათუმელებს ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ და იქ მეტი პროფესიონალიზმია.

— მაშ, ან „ბასკო" ან „მიტელდოიჩერი"?

— ჰო, დღეს დამელაპარაკება ვოვა და ყველაფერს გადავწყვეტ. თუ მითხრა, დარჩიო, ვილებ ტელეფონს და „ბასკოს" მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკს ვურეკავ, ის უკვე ელოდება ჩემს ზარს.

**ირაკლი პერტაია**

Euroleague

# ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. X ტური. 21-22 იანვარი

# უქართველო იტალიელებს დოლჩე ვიტა მოენატრათ

**A ჯგუფი**

**ბარსელონა 81:69 პო ორტეზი**
ბარსელონა: ბოდიროგა (17)
პო ორტეზი: ფიორე (24)

**აეკ 73:75 ციბონა**
აეკ: ლოლისი (19)
ციბონა: პენი (20)

**პარტიზანი 73:81 რომა**
პარტიზანი: კრსტიჩი (19)
რომა: ალექსანდერი (22), მაიერსი (21)

**ულქერი 68:63 ოლიმპია**
ულქერი: ქუთლუაი (18)
ოლიმპია: ანაგონიე (18), ბორისა (7)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 10 | 8 | 2 | +104 | 18 |
| ციბონა | 10 | 6 | 4 | -19 | 16 |
| პარტიზანი | 10 | 5 | 5 | +25 | 15 |
| ულქერი | 10 | 5 | 5 | -40 | 15 |
| პო ორტეზი | 10 | 4 | 6 | +18 | 14 |
| რომა | 10 | 4 | 6 | -25 | 14 |
| ოლიმპია | 10 | 4 | 6 | -29 | 14 |
| აეკ | 10 | 4 | 6 | -34 | 14 |

**B ჯგუფი**

**სკიპერი 117:107 ჟალგირისი**
სკიპერი: ვუიანიჩი (31)
ჟალგირისი: ბერდი (35)

**პანათინაიკოსი 84:91 მაკაბი**
პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (22)
მაკაბი: იასიკევიჩუსი (30)

**უნიკახა 75:63 სიენა**
უნიკახა: ბალოკი (20)
სიენა: ანდერსენი (16)

**კრკა 62:89 ცსკა**
კრკა: დუნდოვიჩი (13)
ცსკა: ბრაუნი (22)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 10 | 8 | 2 | +120 | 18 |
| მაკაბი | 10 | 8 | 2 | +88 | 18 |
| სკიპერი | 10 | 6 | 4 | +15 | 16 |
| პანათინაიკოსი | 10 | 5 | 5 | +2 | 15 |
| სიენა | 10 | 5 | 5 | -13 | 15 |
| ჟალგირისი | 10 | 4 | 6 | -3 | 14 |
| უნიკახა | 10 | 3 | 7 | -34 | 13 |
| კრკა | 10 | 1 | 9 | -175 | 11 |

**C ჯგუფი**

**ალბა 80:93 პამესა**
ალბა: პეტროვიჩი (34)
პამესა: პარაისო (21)

**შლიონსკი 84:75 ვილერბანი**
შლიონსკი: გრირი (28)
ვილერბანი: სოშუ (23)

**ოლიმპიაკოსი 81:72 ტაუ**
ოლიმპიაკოსი: ლიადელისი (25)
ტაუ: დავიდი (19)

**ბენეტონი 66:79 ეფესი**
ბენეტონი: გარბახოსა (16)
ეფესი: ლანგდონი (24)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 10 | 8 | 2 | +72 | 18 |
| ბენეტონი | 10 | 6 | 4 | +63 | 16 |
| პამესა | 10 | 6 | 4 | +15 | 16 |
| შლიონსკი | 10 | 6 | 4 | -15 | 16 |
| ტაუ | 10 | 5 | 5 | +24 | 15 |
| ოლიმპიაკოსი | 10 | 5 | 5 | +1 | 15 |
| ალბა | 10 | 2 | 8 | -71 | 12 |
| ვილერბანი | 10 | 2 | 8 | -89 | 12 |



კარლტონ მაიერსი ცოცხალია და, აგერ, „რომასთან" ერთად ბელგრადის „პარტიზანს" ამარცხებს

სანამ ამა წლის სექტემბერში ვლადიმერ ბორისა და მაკედონიელი პეტრ ნაუმოსკი ერთმანეთს სანაკრებო დონეზე შეხვდებიან, ისინი გუშინწინ, სტამბოლის „აბდი იპექჩის" დარბაზში წათამაშდნენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ევრო 2007-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკედონიაა. ბორისაცა და ნაუმოსკიც თავიანთი ნაკრების ლიდერები არიან და თუ მწყობრში იქნებიან, სექტემბერში აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს სკოპიეში. მანამდე კი ისინი ევროლიგის მატჩში შეიყარნენ — ნაუმოსკის „ულქერი" ბორისას „ოლიმპიას" მასპინძლობდა.

ევროკალათბურთში ჩახედულმა მავანმა ეგებ იკითხოს, სად მილანი და სად სტამბოლი, ნაუმოსკი აგერ, გუშინწინებზე იტალიაში ბურთაობდაო და სამართლიანადაც იკითხავს — ნაუმოსკი ახლახან გადაბარგდა მილანური „ადეკოდან" სტამბოლურ „ულქერში" და როგორც ეტყობა, ჯერ ვერ აუღო ალღო ახალ თანაგუნდელებთან თამაშს.

ყოველ შემთხვევაში, გუშინწინდელ მატჩში ცნობილი მაკედონიელი ვერაფრით გამოირჩა. მან ზუსტად იმდენი ითამაშა, რამდენიც ბორისამ, 25 წუთი, მაგრამ თავის გუნდს, ჩვენებურის არ იყოს, ბევრი ვერაფრით შეეწია. „ულქერმა" კი მოიგო, გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, თურქი ფანებით მძვინვარე ქალაქიდან ლიუბლიანელები ალაფით წამოსულიყვნენ.

ბორისას მონაგარი არცთუ შთამბეჭდავია, 7 ქულა, თუმც ვოვამ დაცვაში იყოჩაღა და მიჯრით 5 ქულაც მაშინ მიითვალა, როცა ოლიმპიელებს სერიოზულად გაუჭირდათ მესამე მეოთხედში. ბორისას გამონათების შემდეგ ლიუბლიანელებმა სხვაობა 7 ქულამდე შეამცირეს და მერე იყო, ის შტურმი რომ წამოიწყეს, რომელმაც სლოვენიელებს ლამის მოაგებინა ეს მატჩი.

ბოლო მეოთხედის წინ „ულქერი" 6 ქულას იგებდა, მაგრამ ოლიმპიელმა ალოიზიუს ანაგონიემ, ეგრე იოლად ვერ დაგნებდებითო, რამდენჯერმე გაარღვია თურქული დაცვა და ანგარიშიც გაათანაბრა. მერე კი საქმეში სტამბოლელთა ამერიკელები — ევროპაში დაბერებული ჯოზეფ ბლერი და ერთხანს ნბა-ში მობურთალი მელვინ ბუკერი ჩაერივნენ. „ულქერის" 6-ქულიანი ლიდერობა აღსდგა და ფინალმაც რომ მოატანა, ოლიმპიელთა მიერ დროის მოგების მიზნით „აკიდებული" ჯარიმები სტამბოლელებმა არა და არ გააფუჭეს. ბუკერმა და იბრაჰიმ ქუთლუაიმ ბოლო წუთზე 6 საჯარიმო ჩააგდეს და „ულქერს" მეტად საჭირო გამარჯვება დაუბევეს.

ამ მარცხმა „ოლიმპია" ბოლოსწინა ადგილზე ჩააჩოჩა, „ულქერი" კი იმ ოთხეულში შეძვრა, რომელიც ოთხი ტურის შემდეგ მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავა.

გამსვლელებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმც არაა გამორიცხული, შარშანდელი ფინალისტი ტრევიზოს „ბენეტონი" სულაც განზე დარჩეს. მანუჩარ მარკოიშვილის განათხოვრების შემდეგ ტრევიზოელებმა ზედიზედ მეორე საევროლიგო მატჩი წააგეს — ამჯერად შინ. ბენეტონელებს წესი აუგო ყოფილმა მათიანმა, შარშანდელი წარმატების ერთ-ერთმა შემოქმედმა ტრაიან ლანგდონმა. ლანგდონს ბენეტონელები კარგად იცნობდნენ, მაგრამ მისგან თავი როგორ დაეცვათ, ამის ბაიბურში არ იყვნენ. საბოლოოდ „ეფესმა" ულაპარაკოდ იძლა ტრევიზოში და C ჯგუფის სათავეში გამაგრდა. „ბენეტონი" კი მეორეა, მაგრამ მასავით 6-6 გამარჯვება აქვთ „პამესასა" და „შლიონსკის". ალბათ ამ სამეულში ერთ-ერთს ამჟამად მეხუთეზე მყოფი ვიტორიის „ტაუ" ჩაენაცვლება.

კაცმა არ იცის, ვინ ვის ჩაენაცვლება B ჯგუფში, სადაც ისეთი აჯაფსანდალია, თვით მოლიდერე ცსკასა და „მაკაბისაც" არაფერი აქვთ გარანტირებული. ეს ორი ალბათ მაინც მოახერხებს მომდევნო ეტაპზე გასვლას, მაგრამ მათ უკან რომ დიდი ვაი-ვიშვიშში გადაწყდება ყველაფერი, ლაპარაკიც ზედმეტია.

თუნდაც ეს ტური ავიღოთ — ყველასგან ჩამოწერილმა „უნიკახამ", რომელმაც მოსკოვის ცსკა ორჯერ დაამარცხა, ამჯერად შარშანდელი ოთხთა ფინალის კიდევ ერთ მონაწილეს, იტალიურ „სიენას" სძლია. ოთხეულში თითქოს ადგილდაბევებულმა „ჟალგირისმა" კი უსაბონისოდ ბოლონიაში წააგო. ეს მატჩი ევროლიგის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე ქულუხვი.

აქამდე ყველაზე დიდანგარიშიან უოვერტაიმო მატჩად 2001 წელს პერმში ნათამაშები ითვლებოდა, სადაც მადრიდის „რეალმა" იქაური „ურალ გრეიტი" 113:104 დაამარცხა. გუშინდელი მატჩი კი 117:107 დამთავრდა.

**ირაკლი პერტაია**

NBA

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 22 იანვარი —

**დალასი 106:87 ლეიკერსი**
დალასი: ფინლი (31), ჯემისონი (26), უოლკერი (23)
ლეიკერსი: ჯორჯი (24), რაში (18), მედვედენკო (18)

**კლივლენდი 89:95 საკრამენტო**
კლივლენდი: ვაგნერი (20), უილიამსი (18), ბუზერი (15 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (37 ქულა, 10 მოხსნა), დივაცი (13), ბიბი (12)

**სიეტლი 103:87 გოლდენ სტეიტი**
სიეტლი: დანიელსი (18), ბერი (17), ლუისი (13), ალენი (13), მიურეი (13)
გოლდენ სტეიტი: დანლივი (18 ქულა, 11 მოხსნა), კლაქსტონი (18)

**აღმოსავლეთი**

| ატლანტიკა | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 21 | 19 | 52,5 |
| ბოსტონი | 21 | 23 | 47,7 |
| ფილადელფია | 19 | 23 | 45,2 |
| ნიუ იორკი | 19 | 25 | 43,2 |
| მაიამი | 16 | 26 | 38,1 |
| ვაშინგტონი | 12 | 28 | 30,0 |
| ორლანდო | 11 | 32 | 25,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 33 | 11 | 75,0 |
| დეტროიტი | 29 | 14 | 67,4 |
| მილუოკი | 23 | 19 | 54,8 |
| ნიუ ორლეანი | 23 | 19 | 54,8 |
| ტორონტო | 20 | 20 | 50,0 |
| კლივლენდი | 14 | 28 | 33,3 |
| ატლანტა | 13 | 30 | 30,2 |
| ჩიკაგო | 12 | 30 | 28,6 |

**დასავლეთი**

| შუა-დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მინესოტა | 28 | 12 | 70,0 |
| სან ანტონიო | 28 | 15 | 65,1 |
| დალასი | 26 | 16 | 61,9 |
| დენვერი | 26 | 18 | 59,1 |
| ჰიუსტონი | 24 | 17 | 58,5 |
| მემფისი | 23 | 18 | 56,1 |
| იუტა | 21 | 20 | 51,2 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 30 | 10 | 75,0 |
| ლეიკერსი | 25 | 15 | 62,5 |
| სიეტლი | 21 | 20 | 51,2 |
| კლიპერსი | 17 | 22 | 43,6 |
| პორტლენდი | 17 | 23 | 42,5 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 25 | 40,5 |
| ფინიქსი | 16 | 27 | 37,2 |

ევროპის VI ჩემპიონატი. ვაჟები

სლოვენია. 22 იანვარი-1 თებერვალი

# საჩემპიონო სკანდალი

**ტურნირი** სკანდალით დაიწყო. მსოფლიოს ჩემპიონმა ხორვატებმა გახსნის მატჩში, ვერ ვიტყვით რომ დაუმსახურებელი, თუმც საეჭვო მოგება ჩაიწერეს.

ესპანელებთან თამაში ექსიუგოსლაველებმა უხეიროდ დაიწყეს, უკვე პირველ წუთზე გაუშვეს გოლი და შუა ტაიმში მეტოქეს ხუთი ბურთითაც კი ჩამორჩნენ — 5:10. ჩემპიონთა შეტევის ხაზმა ვერაფერი მოუხერხა მოწინააღმდეგის დაცვას და ჩინებულად მოთამაშე 34 წლის გოლკიპერ დავიდ ბარუფეტს, რომელმაც პირისპირ გასულ „მტერთა“ 15 ტყორცნა მოიგერია და თავისიანებს კარგა ხანს უნარჩუნებდა უპირატესობას.

ხორვატებს მოსულიერების შანსი მას შემდეგ მიეცათ, როცა მეორე ტაიმის დასაწყისში გერმანელმა მსაჯებმა ორი ესპანელი გააძევეს მოედნიდან ორ-ორი წუთით. მალე ანგარიშიც გათანაბრდა — 20:20, ხოლო საფინალო სასტვენამდე რვა წუთით ადრე როგორც იქნა, პირველად დაწინაურდნენ ხორვატები — 25:24.

მთავარი ამბები კი მატჩის მიწურულს მოხდა. 15 წამით ადრე ესპანელმა ივან გარსიამ ანგარიში გაათანაბრა — 29:29, ხორვატთა დასკვნით შტურმს კი ის მოჰყვა, რომ ზედ საფინალო სირენას დაემთხვა მათგან ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის ივანო ბალიჩის ზუსტი ნასროლი — 30:29. სკანდალიც სწორედ ამის შემდეგ ატყდა. ესპანელებმა ჩათვალეს, რომ მათ კარში გოლი დროის გასრულების შემდეგ გავიდა და ჩემპიონატის ორგკომიტეტში პროტესტიც შეიტანეს, თუმც სააპელაციო ჟიურიმ მატჩის შედეგი, ანუ ხორვატთა გამარჯვება ძალაში დატოვა.

პირველ ტურში აღსანიშნავი ისიც მოხდა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი გერმანელები სერბეთ-ჩერნოგორიელებთან დამარცხდნენ — 26:28.

**ფუხელ**

**უნგრეთი 32:29 ისლანდია**
**სერბეთი 20:23 საფრანგეთი**
**პოლონეთი 32:41 გერმანია**
**სლოვენია 37:33 ჩეხეთი**

ჭადრაკი

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 9-25 იანვარი

# ინდუსმა ინგლისელთან ზავით მოიგო


მაიკლ ადამსი

ტურნირმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. 2004 წლის პირველი უდიდესი გათამაშების გამარჯვებული პრაქტიკულად ცნობილია და ახლა ბრძოლა დარჩენილი ადგილებისთვის მიმდინარეობს. ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო, მაგრამ ინგლისელი მაიკლ ადამსისთვის თითქმის უკვე ყველაფერი დასრულდა. მეათე ტურში ბრიტანელი მთავარ კონკურენტ ინდოელ ვიშვანათან ანანდს ეთამაშებოდა და მოგების შემთხვევაში ლიდერს გვერდითაც მიუსკუპდებოდა, თუმც ინდუსი სულ სხვაგვარად ფიქრობდა და ისტორიულ მეტოქეს ამის შანსი არც მისცა.

ადამსმა პარტია მეფის გამბიტით დაიწყო, მაგრამ ანანდმა უკვე მესამე სვლაზე პაიკი გაუცვალა და დებიუტშივე აურია დავთრები. ამის შემდეგ კი პარტიის ბოლომდე მეტოქეებს საკუთარი ტერიტორია არ დაუტოვებიათ. ანანდი დაცვას ამაგრებდა, ინგლისელი კი შეტევის წამოწყებას გეგმავდა, თუმც მალევე, მე-18 სვლაზე მიხვდა რომ ინდოელის ციხესიმაგრეს თვით ბრიტანული არტილერიითაც ვერას დააკლებდა და მასთან დამლუპველი ზავი დადო.

დიდი ხანი არც მეორეადგილოსან უნგრელ პიტერ ლეკოს უწვალია. მადიარი დიდოსტატი ესპანეთის სახელით მოთამაშე ალექსეი შიროვს დაუზავდა და ადგილი შეინარჩუნა.

C ჯგუფში ხუთტურიანი პაუზის შემდეგ იმარჯვა ჩვენებურმა მერაბ გაგუნაშვილმა, თუმც ამით პირველ ადგილს დიდად ვერ მიუახლოვდა. მეათე ტურში ქართველმა დიდოსტატმა შავი ფიგურებით რუს ვალერი პოპოვს მოუგო.

სვლათა სიუხვით არც მათი შეხვედრა გამოირჩა. მეტოქეებმა დედოფლის წინა პაიკით დაიწყეს თამაში და ფლანგების გამაგრებას შეუდგნენ. მე-8 სვლაზე მერაბმა იერიში დაიწყო და რუსს მძიმე ძალებით მიაწვა. 13 სვლის განმავლობაში უწევდა პოპოვი წინააღმდეგობას, თუმც არაფერი გამოუვიდა და ქართველს გამარჯვება მიულოცა.

**ლუკა გეგეჭკორი**

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 7 ქულა |
| 2 | პიტერ ლეკო (უნგრეთი) | 6 |
| 3 | მაიკლ ადამსი | 6 |
| 4 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 5,5 |
| 5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 5 |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 8 |
| 4 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 6,5 |



ALL - STAR GAME 2004


ოლ სტარის ორ მონაწილეს მარკ მესიესა და რიკ ნეშს შორის ასაკობრივი სხვაობა 23 წელია

# მშვიდობით, მისიე მესიე

## ვარსკვლავები ვარსკვლავების მატჩშიც იბადებიან

8 თებერვალს სენტ პოლში დაგეგმილ „ოლ სტარში“ ბევრ საოცრებას უნდა ველოდეთ. 22 იანვარს ლიგამ შოუს მონაწილეთა სრული შემადგენლობა გამოაქვეყნა. მასში ბევრი რამ არის მოულოდნელი. განა ამის დასტური არ არის ისიც, რომ ამ შოუში ორი ისეთი მოთამაშე მიიღებს მონაწილეობას, რომელთა შორის ასაკობრივი სხვაობ 24 წელია (!). ერთი 19 წლის კოლუმბუსელი რიკ ნეშია, მეორე კი 43 წლის ლეგენდარული რეინჯერსელი მარკ მესიე. უფრო ამ უკანასკნელის არჩევა გვაოცებს. ეტყობა, წლეულს არცთუ ისე გამორჩეულ ვეტერანს იმიტომ მიაგეს ეს პატივი, რომ უკანასკნელ ჩემპიონატს ატარებს ლიგაში. მისთვის ეს მე-15 „ოლ სტარია“.

სიაში ერთბაშად 15 ისეთი მოთამაშე მოხვდა, ვისთვისაც „ოლ სტარი“ სრულიად ახალი ხილია. როგორც ჩანს, ლიგამ ბოლო წლების გამოცდილება გაითვალისწინა. უკანასკნელ შოუებში ხომ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება სწორედ პირველად მოწვეულებმა მოახდინეს. თუნდაც ატლანტელი დანი ჰიტლი გავიხსენოთ, რომელმაც 2002 წლის „ ოლ სტარზე“ ოთხი შაიბა შეაგდო. მით უმეტეს, რომ იმავე კოლორადოელი ალექს ტანგეის თუ მონრეალელი შელდონ სურეის არჩევა არანაირ ეჭვს არ იწვევს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ლიგა ცდილობს, „ოლ სტარში“ რაც შეიძლება მეტი კლუბის წარმომადგენლები მოხვდნენ. შოუს მასპინძლებს კი განსაკუთრებული პატივი ერგოთ. ალბათ ამ მიზეზით მოხვდნენ სიაში მინესოტელები — ფილიპ კუბა და დუენ როულსონი.

**დასავლეთი**

მეკარეები: მარტი ტურკო (დალასი), დუეინ როულსონი (მინესოტა), ტომაშ ვოკოუნი (ნეშვილი); მცველები: რობ ბლეიკი (კოლორადო), ნიკლას ლიდსტრიონი (დეტროიტი), კრის პრონგერი (სენტ ლუისი), მატიას ნორსტრიონი (ლოს ანჯელესი), კიმო ტიმონენი (ნეშვილი), ფილიპ კუბა (მინესოტა); თავდამსხმელები: მაიკ მოდანო (დალასი), ტოდ ბერტუცი (ვანკუვერი), ბილ გერინი (დალასი), პაველ დაციუკი (დეტროიტი), შეინ დოუნი (ფინიქსი), მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი), ჯერომ იგინლა (კალგარი), პატრიკ მარლო (სან ხოსე), რიკ ნეში (კოლუმბუსი), კეიტ ტკაჩუკი (სენტ ლუისი), ჯო საკიკი (კოლორადო), ალექს ტანგეი (კოლორადო)

**აღმოსავლეთი**

მეკარეები: მარტენ ბროდო (ნიუ ჯერსი), რობერტო ლიუონგო (ფლორიდა), ჟოზე თეოდორი (მონრეალი); მცველები: სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი), სკოტ ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი), შელდონ სურეი (მონრეალი), ადრიან ოკოინი (აილენდერსი), ნიკ ბოინტონი (ბოსტონი), უეიდ რედენი (ოტავა); თავდამსხმელები: ჯო ტორნტონი (ბოსტონი), მარტენ სან ლუი (ტამპა), ილია კოვალჩუკი (ატლანტა), რობერტ ლანგი (ვაშინგტონი), მატს სუნდინი (ტორონტო), მარიან ჰოსა (ოტავა), მარკ მესიე (რეინჯერსი), დანიელ ალფრედსონი (ოტავა), ჯერემი რენიკი (ფილადელფია), კეიტ პრიმო (ფილადელფია), გარი რობერტსი (ტორონტო)

*სასტარტო ექვსეულები ქომაგთა გამოკითხვით გამოვლინდა (ისინი სიაში გამოყოფილნი არიან). დასავლეთის გუნდს დეტროიტელი დეივ ლიუისი უხელმძღვანელებს, ხოლო აღმოსავლეთისას — ტორონტოელი პეტ ქუინი.*

**რეგულარული ჩემპიონატი**

22 იანვარი

**რეინჯერსი 2:4 ფილადელფია**
*1:1 1:2 0:1*
1:0 კარტერი (7), 1:1 კაპანენი (18), 1:2 რეკი (26), 2:2 ლიჩი (37), 2:3 განიე (38), 2:4 ლეკლერი (41)

ფორვარდის ღვაწლი მხოლოდ გოლებით როდი იზომება. ფილადელფიელმა კეიტ პრიმომ 41 მატჩში ოდენ 5 შაიბა დააგროვა, მაგრამ თავისი შეუპოვრობითა და საბრძოლო სულისკვეთებით მისაბაძია გუნდში. „მფრინავების“ კაპიტანმა ვერც ამჯერად შეძლო გოლის გატანა, მაგრამ მატჩის მთავარ ვარსკვლავად აღიარეს. ჯერ იყო და ზუსტი პასით სამი კაპანენს გაატანინა, მერე ისე დაუფარა მეტოქის მეკარეს, რომ სიმონ განიეს სულაც არ გასჭირვებია სტუმართა დაწინაურება, ბოლოს კი სწორედ მისდამი უხეშობისთვის ებოძა „ფილადელფიას“ ოთხწუთიანი რიცხვმრავლობა, როცა ჯონ ლეკლერმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი ყველაფერს. პრიმოს განსაკუთრებულმა მონდომებამ გუნდს დიდი სარგებლობა მოუტანა და ეს ნჰლ-ის მესვეურებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ — ხუთშაბათს „მფრინავთა“ კაპიტანი „ოლ სტარის“ მონაწილეთა სიაში მოხვდა.

**ლოს ანჯელესი 4:5 დეტროიტი**
*2:1 0:2 2:2*
0:1 ტომასი (7), 1:1 კლეტი (16), 2:1 ფროლოვი (17), 2:2 ჰალი (24), 2:3 შნაიდერი (26), 2:4 რივერსი (44), 3:4 რობიტაილი (49), 3:5 შნაიდერი (54), 4:5 ფროლოვი (57)

უნდა გენახათ ბრეტ ჰალი, როცა „ლოს ანჯელესის“ კარში გოლი გაიტანა. ისეთი სახე ჰქონდა და ისე გაიბადრა, გეგონებოდათ, პირველი შაიბა გაიტანა ლიგაშიო. პირველის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ბოლო დროს ცუდად წაუვიდა საქმე „ოქროს ბრეტს“ 20 თამაშის განმავლობაში არ ეკარებოდა მისი დარტყმული შაიბა კარის ბადეს. და აი, გატეხა ჰალმა ნავსი და მისმა „დეტროიტმაც“ იხეირა.

**ოტავა 6:5 პიტსბურგი**
*3:2 3:1 0:2*
0:1 კრაფტი (9), 1:1 ალფრედსონი (14), 1:2 ბერეჰოვსკი (15), 2:2 ჰავლატი (17), 3:2 ჰავლატი (19), 4:2 შეფერი (2), 4:3 კოსტოპულოსი (30), 5:3 შეფერი (37), 6:3 ლანგფელდი (40), 6:4 ჰოლცინგერი (43), 6:5 ტარნსტრიომი (58)

პიტსბურგის მეკარე მარკ-ანდრე ფლერი ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დაშვებული საბედისწერო შეცდომის შემდეგ დაინავსა — როგორც კი კარში ჩადგება, მის პარტნიორებს დაცვაში თამაში ავიწყდებათ და ნორჩ მეკარეს შავ დღეში აგდებენ. ფლერმა ამჯერადაც ორი პერიოდის განმავლობაში 6 გოლი გაუშვა და შეცვალეს.

**ჩიკაგო 7:0 კოლუმბუსი**
*3:0 1:0 3:0*
1:0 მოუნი (6), 2:0 ბერარდი (8), 3:0 სალივანი (18), 4:0 ბელი (30), 5:0 არნასონი (46), 6:0 კოროლიოვი (54), 7:0 ვანდენბუში (60)

**კალგარი 4:0 ნეშვილი**
*2:0 2:0 0:0*
1:0 ლომბარდი (11), 2:0 დონოვანი (15), 3:0 დონოვანი (26), 4:0 ლომბარდი (32)

**ედმონტონი 2:3 ტამპა**
*1:1 0:2 1:0*
1:0 ისბისტერი (1), 1:1 კუბინა (5), 1:2 ლეკავალიე (31), 1:3 რიჩარდსი (38), 2:3 დვორჟაკი (50)

**სან ხოსე 1:2 ფინიქსი**
*0:0 1:2 0:0*
0:1 სილინჯერი (25), 1:1 უ. პრიმო (29), 1:2 ნადი (32)

**ბოსტონი 2:3 ბუფალო**
*0:1 0:0 2:2*
0:1 ფიცპატრიკი (12), 1:1 მიურეი (49), 1:2 შატანი (54), 1:3 შატანი (59), 2:3 კნუბლი (60)

**ატალანტა 1:1 კოლორადო**
*1:0 0:1 0:0 0:0*
1:0 კაბერლე (4), 1:1 ლარსენი (27)



REUTERS ბანგკოკიდან

# სადედოფლო ნახტომი

ტაილანდის ცაში, კამფანგსანის საჰაერო ბაზის თავზე მსოფლიოს სარეკორდო საპარაშუტო გადმოხტომა გაიმართა. თვითმფრინავიდან ისკუპა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 672-მა პარაშუტისტმა, ეს ნახტომი ქვეყნის დედოფლის, სირიკეტის სამოც წლისთავს მიეძღვნა. ტაილანდში უკვე დაწყებულია საიუბილეო ღონისძიებები.



REUTERS მელბურნიდან

# აზიური სიხარულები

ეს გახარებული ძიაკაცი და საერთოდ ეს ოთხი ტაილანდელი ჩოგბურთელ პარადორნ შრიჩაფანის ოჯახობისანი არიან. მამა ჩანაჩაი განსაკუთრებით ხარობს, რახან მელბურნის კორტზე პარადორნმა ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი დაამარცხა, 6:3, 7:5, 6:4. გოგონათა წყვილებში კი ჯერჯერობით კარგად ირჯებოდნენ ჩინელები ჩან ყი (მარჯვნივ) და ჟენგ ჯაი. მათ ავსტრალიელი რენი სტაბსი და ზიმბაბველი კარა ბლეკი დაამარცხეს.



REUTERS მელბურნიდან

# რუსები ემზადებიან

რუს მთამსვლელთა გუნდს გადაუწყვეტია ევერესტის დაპყრობა ურთულესი ჩრდილოეთის გზით. გუნდი კრასნოიარსკში ემზადება, სადაც სტოლბის პარკში, 22-გრადუსიან ყინვაში ყინულის კლდეებზე ცოცვაშიც ვარჯიშობს. ეს მოვარჯიშე კი ანტონ პუგოვკინია. მისმა სახალხო ცოცვამ ყინულებზე ბევრი მაყურებელი მიიზიდა.



REUTERS კრასნოიარსკიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

# მსაჯი წააქცია

ასე მოხდება ხოლმე, რომ მსაჯსაც შეასკდები ჰოკეის თამაშის დროს. ფილადელფიელთა ცენტრი ჯერემი რენიკი და დამხმარე მსაჯი ბრედ კოვალჩიკი ერთმანეთს დაეჯახნენ და რენიკი, როგორც უფრო ჯანიანი, ფეხზე დარჩა, თუმცა თავადვე წამოაყენა წაქცეული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვედაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge